ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 თებერვალი, 2020 №36 (8300) ფასი: 60 თეთრი

ახალშობილის 13.000 დოლარად გაყიდვის ფაქტზე მისი დედა და 6 პირი დააკავეს

გვ.5

11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი

სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

„ხელისუფლება ემზადება ხაზარაძის და გვარამიას დასაპატიმრებლად“

შალვა ხაჭაპურიძე:

გვ.3

„ამდენ ოპოზიციურ პარტიას, ერთად აღებულს, ერთი ნიკა გვარამია ჯობს თავის გადაცემებით“

გიგლა ბარამიძე:

გვ.3

„ქართული ოცნება“ ცხოველური ინსტინქტებით მოქმედებს“

„მისმა შულერებმა ამერიკელებიც გადააგდეს“

გედევან ფოფხაძე:

გვ.4

„ივანიშვილთან და სააკაშვილთან ერთად საქართველო წინ ვერ წავა“

მიხეილ ქარელი ირაკლი ოქრუაშვილს ოფისს ედავება

გვ.5

„ვისაუბრებ მხოლოდ პირდაპირ ეთერში...“

კორნელი კაკაჩია:

გვ.4

„ქართულ პოლიტიკაში ახალი სისხლი, სახეები და იდეებია საჭირო“

ვახტანგ გომელაური:

გვ.2

„მეტი მექნება, მეტ პრემიას და მეტ დანამატს გავცემ, ივლისიდან ყველა თანამშრომელს ემატება ანაზღაურება“

ISSN 1987-9385

2 „საქართველოში დემოკრატია გადასარჩენია“ გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

5 სასამართლომ მარიანა ჩოლოიანი პატიმრობაში დატოვა

2 მარნეულის ყოფილი მერი თემურ აბაზოვი სასამართლომ გაამართლა

6 ფეისბუქმა რუსეთის დაზვერვასთან დაკავშირებული ყალბი ანგარიშები შეაჩერა

თამარ ჩუგოშვილი: „დაკავებების სერიის გაგრძელება საქართველოს მიმართ მძიმე განწყობებს უფრო გაამყარებს“

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატის თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, პროცესები თუ ასე გაგრძელდება, ეს სერიოზულად დაუმძიმებს საქართველოს ურთიერთობას როგორც ევროკავშირთან, ასევე დასავლელ პარტნიორთან.

მისივე თქმით, ფაქტობრივად ყველა წამყვანი ოპოზიციური ძალის ლიდერის მიმართ საქმეა აღძრული.

– ევროკავშირის განცხადება საკმაოდ დიპლომატიურად გამოხატავს იმ ზოგად განწყობას, რომელიც არსებობს ევროკავშირშიც, აშშ-იც და ზოგადად პარტნიორების მიმართ. ნოემბრიდან მოყოლებული მოვლენები, რაც ჩვენს ქვეყანაში ვითარდება, ჩვენი პარტნიორებისთვის სერიოზული წუხილის საგანია და ეს ალბათ, გამოვლინდება კომიტეტის სხდომაზე ევროპარლამენტში და იმ დოკუმენტში, რომელსაც მიიღებენ, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

მისივე თქმით, ყველა ჩვენი მეგობარი მოგვიწოდებს სიტუაციის ნორმალიზებისკენ, შეთანხმებისკენ, კომპრომისებისკენ ორივეს მხრიდან, მაგრამ ამის სურვილი ადგილობრივ პოლიტიკურ სივრცეში არ ჩანს.

– ფაქტობრივად, ყველა განცხადება, რომელიც უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით გაკეთდა, გამოხატავს იმ სერიოზულ კითხვებს, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებით არის.

ეს არ იქნებოდა ასე, ერთი იზოლირებული საქმე რომ იყოს. ჩვენ გვაქვს მოცემულობა, რომ ფაქტობრივად, ყველა წამყვანი ოპოზიციური ლიდერი ან არის უკვე პასუხისგებაში მიცემული, ან შინაპატიმრობაშია, ან საპატიმრო დაწესებულებაში, ან გამოძიების ქვეშ..

ასეთი რამ დემოკრატიულ ქვეყნებში არ ხდება. ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი უცებ კრიმინალი აღმოჩნდეს და თან ის გაასამართლოს მართლმსაჯულების სისტემამ, რომელიც სერიოზულად ხარვეზიანი სისტემაა და რომლის მიმართ ნდობა არ არსებობს, არ ხდება.

შესაბამისად, აღნიშნული არის ამ განცხადებებსა და დამოკიდებულებებში ასახული.

ამ დაკავებების სერიის გაგრძელება კიდევ უფრო გაამყარებს ამ მძიმე განწყობებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მიმართ ბოლო პერიოდში დაიწყო და არ იყო აქამდე. პირიქით, იყო პოზიტიური და მხარდამჭერი და ბოლო თვეებია, მოტრიალდა და შეიცვალა, – განაცხადა ჩუგოშვილმა

გუშინ, 12 თებერვალს, ევროკავშირის საგარეო სამსახურის პრესსპიკერმა განცხადება გაავრცელა. ევროკავშირი დეტალურად ეცნობა უზენაესი სასამართლოს მიერ ოპოზიციის ლიდერის, გიგი უგულავას საქმეზე სულ ახლახან მიღებულ გადაწყვეტილებას.

„გარემოებები, რომლებიც თან ახლავს სასამართლოს გადაწყვეტილებას, არ უწყობს ხელს წინსვლას პოლიტიკური დიალოგის პროცესში, რომლის მიზანი საქართველოში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის განმუხტვაა, რაც ასე აუცილებელია.

სასამართლოს დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტის, სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა ის აუცილებელი ვალდებულებებია, რომლებიც საქართველოს ეკისრება ევროკავშირი – საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

ევროკავშირი გააგრძელებს დაკვირვებას საქართველოში მიმდინარე ყველა იმ სასამართლო პროცესზე, რომელიც მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს“ – ნათქვამია განცხადებაში.

„საქართველოში დემოკრატია გადასარჩენია“

გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც პოლიტიკაში დაბრუნება გადაწყვიტა, „კურიერთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არ გამორიცხავს, უახლოეს მომავალში მრგვალი მაგიდის გარშემო გაერთიანებულ ოპოზიციურ ძალებს შეუერთდეს.

გიორგი მარგველაშვილი, ამ ეტაპზე, პარტიას არ ქმნის, მაგრამ კონსულტაციები აქვს ყოფილ თანაგუნდელებთან. ანუ, იმ პირებთან, რომლებიც მის ადმინისტრაციაში მუშაობდნენ და რომელთა დიდი ნაწილიც ახლა საზოგადოებრივ მოძრაობა „ლელოშია“ გაწევრიანებული.

– პოლიტიკური პროცესის ლოკომოტივს ვხედავ იმ მრგვალ მაგიდაში, იმ ოპოზიციურ გაერთიანებაში და არაფერი, რასაც მე გავაკეთებ, არ იქნება იმ გზის შემასუსტებელი ან იმ გზიდან, ასე ვთქვათ, ამოგლეჯილი. დღეს ის არის პოლიტიკური პროცესის ცენტრი, ის უნდა შენარჩუნდეს და იმის გაძლიერებაა ჩემი მიზანი. თუ ვის ვესაუბრები, როგორ განვითარდება მოვლენები, მომავალში გეტყვით. არ მინდა, რომ მანამ ვთქვა, სანამ არ გავივლი კონსულტაციებს ჩემს მეგობრებთან.

ძალიან ახალია ეს ყველაფერი და სანამ ნაბიჯი გადაიდგმება ხოლმე, საჭირო არ არის რაღაცით შეიზღუდო შენი თავი და რაიმე განცხადება გააკეთო – ასე მოვიქცევი ან ასე მოვიქცევი. სიცხადის წერტილები თუ გვინდა, სიცხადის წერტილები არის ის, რომ ქართული, დემოკრატიული განვითარება მე მიმაჩნია, რომ გადასარჩენია. ეს ერთი და მეორე – ამ ეტაპზე, საქართველოს პოლიტიკურ პროცესში არსებობს პრიორიტეტული, ოპოზიციური მრგვალი მაგიდა და ეს მიმართულებაა გასაძლიერებელი.

ასე ვთქვათ, ჩემთვის უცხო პერსონაჟები არიან იმ მაგიდასთან, რომელთანაც პოლიტიკური ალიანსი არასდროს არ მქონია, მაგრამ ახლა ზეპოლიტიკური მიზანია მისაღწევი, საქართველო არ შეიძლება გავხადოთ პროვინციული დიქტატურა, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მარნეულის ყოფილი მერი თემურ აბაზოვი სასამართლომ გაამართლა

მარნეულის ყოფილი მერი, თემურ აბაზოვი რუსთავის საქალაქო სასამართლომ გაამართლა.

ეს ფაქტი „რუსთავი 2“-ს თემურ აბაზოვის უფლებადამცველმა, გაგი მოსიაშვილმა დაუდასტურა, რომლის თქმითაც, ბრალდებულებს გამამართლებელი განაჩენის გამოცხადების შემდეგ, გირაოს თანხები დაუბრუნდებათ.

მარნეულის ყოფილ მერს ბრალად ელჩინ ალახვერდიევის მიმართ არაადამიანური მოპყრობა ედებოდა. სასამართლომ თემურ აბაზოვთან ერთად, ბრალდებული სამი პირიც გაამართლა.

ელჩინ ალახვერდიევის მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, პროკურატურამ აბაზოვი 2018 წლის 13 ივნისს დააკავა, ხოლო ამავე მოქალაქის ცემის ფაქტზე, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს პარლამენტის წევრის, პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან აზერ სულეიმანოვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პარტია „ქართული ოცნებიდან,“ რამინ ალახვერდიევის და მარნეულის მერის ნათესავის, მოქალაქე გულიევის მიმართ.

2018 წლის 14 ივნისს თემურ აბაზოვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, ხოლო 2018 წლის 13 დეკემბერს იგი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

ვახტანგ გომელაური: „მეტი მექნება, მეტ პრემიას და მეტ დანამატს გავცემ, ივლისიდან ყველა თანამშრომელს ემატება ანაზღაურება“

– ქალაქის სამმართველოში მზადდება ფლიგელი, სადაც გამომძიებლები მარტო არასრულწლოვნებზე იმუშავებენ. პირველი აპრილიდან ვფიქრობთ, რომ გაიხსნება, – ამის შესახებ შს მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ტელეიმედის ეთერში გადაცემა „SWOT ანალიზში“ სტუმრობისას განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, შემდგომი პრობლემების თავიდან ასაცილებლად ყველა დასაკითხი ოთახი აღჭურვება კამერებით.

– ბევრი ახალი პროექტი გაკეთდა ჩვენთან სამინისტროში. იქმნება სპეციალიზებული, საერთაშორისო გამოცდილებით გათვალისწინებული ევროპული სტანდარტის ოთახები.

ოთახები იქნება კამერით აღჭურვილი, რაც ეცნობება იმ კონკრეტულ პირსაც, რომ შემდეგ რამე პრობლემა არ შეიქმნას. იქ იქნებიან გამომძიებლები, რომლებიც მარტო მოზარდებზე იმუშავებენ და აუცილებლად ფსიქოლოგებიც. თუ მოითხოვს მშობელი, დაესწროს ფსიქოლოგიც, გააჩნია წლოვანებას, ის დაესწრება არასრულწლოვნების გამოკითხვას.

ეს თემა ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია და ძალიან კარგი იქნება, რაც ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს. გახსოვთ, რა მოხდა, სამწუხაროდ, სირაძის შემთხვევაში, სხვადასხვა გამომძიებელი იჯდა ოთახში და გვიწევს არასრულწლოვანის ასეთ განყოფილებაში მიყვანა, რადგან ცალკე მათთვის გაკეთებული ოთახი არ გვაქვს.

ეს პროექტი ბატონი გიორგი გახარიას დროს დაიწყო, როცა შს მინისტრი იყო. ამას, რა თქმა უნდა, ვაგრძელებთ და დავამთავრებთ. ეს არასრულწლოვნებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

❖ ❖ ❖

– ადამიანმა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტობაზე აქვს პრეტენზია, შეიძლება პოლიციელს ჩაფხუტზე ხელი ჩამოარტყა?! ცუდია, რა თქმა უნდა, მისი საქციელი რაღაც დოზით გადამდებია და ვიღაცისთვის შეიძლება მაგალითიც იყოს, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, თუ იგივეს გააკეთებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, გამოვა მთელი სპექტრი, დაწყებული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

– არ მინდა მე კრიტიკაში ჩამეთვალოს არასამთავრობოების, ვთანამშრომლობთ და ძალიან კარგად, სხვათა შორის, ბევრთან... გამოვა და მოითხოვენ ალბათ დავიჭიროთ და ყველაფერი. არ ვიცი, ყველაზე უმაღლესი სასჯელი, რაც შეიძლება იმ ქმედებაზე რომ მივცეთ. მათზე არავინ არ გამოდის. რატომ არ გამოვიდა თუნდაც ვაშაძის თემაზე – რატომ არ დააკავეთ, რატომ არ დასაჯეთ, რომ რაღაც საქციელი ჩაიდინა – გაგიგიათ ვინმე გამოსულიყო მაგ კუთხით, მაგ მხრივ? არ გამოსულა. ეს სამწუხაროა. რა თქმა უნდა, ახალისებს და პოლიციელებზე ძალიან ცუდად მოქმედებს ეს. პირიქით, აგრესიას იწვევს ეს, – განაცხადა მინისტრმა ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რუსთაველზე გამართულ აქციაზე ოპოზიციის ლიდერმა გრიგოლ ვაშაძემ პოლიციელს ჩაფხუტზე ხელი ჩამოარტყა.

რაც შეეხება ოპოზიციის მეორე ლიდერს, გიგა ბოკერიას, იგი სამართალდამცველებს ხელისუფლებაში დაბრუნებით დაემუქრა.

❖ ❖ ❖

ვახტანგ გომელაურმა გადაცემაში სამინისტროს თანამშრომელთა ანაზღაურებისა და სოციალური გარანტიების გაუმჯობესებაზე ისაუბრა.

მინისტრმა ხელფასების ზრდასა და პრემიებზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, ახალი რეფორმები დაწყებულია და ივლისიდან ყველა თანამშრომელს კიდევ ემატება ხელფასი.

– გამოდიან თანამშრომლები, სახლში ცოცხალი და ჯანმრთელი დაბრუნდება თუ არა, არავინ იცის. სამწუხაროდ, ძალიან დაბალი ხელფასები აქვთ.

ახალი რეფორმები დავიწყეთ, ბევრი რამ გაკეთდა წინა მინისტრების დროსაც. ბატონი გიორგის დროს იყო მატება. ახლა კიდევ ვგეგმავთ, ივლისიდან კვლავ ემატება ხელფასები ყველა თანამშრომელს. 40 ათას ადამიანზე მეტზე ვსაუბრობთ. ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი, ეს არ არის 1 და 2 მილიონი ლარი, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ვახტანგ გომელაურმა პრემია-დანამატების თემაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პოლიციელები დღე და ღამე თავიანთ საქმეს აკეთებენ და იმაზე მეტს იმსახურებენ, ვიდრე მათი ხელფასებია.

– ასევე, არის დანამატისა და პრემიების თემები. ხშირად გვაკრიტიკებენ ხოლმე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველაზე მეტი დანამატი ან პრემია გასცა. დიახ, გავეცით. ჯერ ერთი, ის, რომ დიდი დანაყოფი ვართ. არ შეიძლება, 1.000 შტატიანმა სამსახურმა და 40.000 შტატიანმა ერთნაირი რაოდენობის თანხა გასცეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდი უწყებაა. რა თქმა უნდა, ვაძლევთ და მე ვფიქრობ, ძალიან დაბალი ხელფასებია იმასთან შედარებით, რასაც ისინი აკეთებენ, რასაც ისინი ემსახურებიან.

მე ვცდილობ, დიახაც, ყველას ვეუბნები, თუ მეტი მექნება, მეტ პრემიას მივცემ, მეტ დანამატს მივცემ, იქედან გამომდინარე, რომ ეს ადამიანები აკეთებენ თავის საქმეს. მართლა დღე და ღამე ქუჩაში დგანან, რომ ღამე ჩვენ კარგად გვეძინოს, ჩვენი შვილები მშვიდობით მოვიდნენ სახლებში, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა.

❖ ❖ ❖

ინტერვიუში მან პოლიციელის შეურაცხყოფაზეც ისაუბრა.

– არის თემები, როდესაც არ ჩანს, მაგრამ პოლიციელის შეურაცხყოფა გინებაში, მუქარაში ან სხვა რამეში გადადის. კანონი უნდა იყოს ყველასთვის თანასწორი, თანაბარი. დეტალებში შესვლა არ მინდა, თუმცა ჩემი ინტერვიუ „მთავარმა არხმა“, სამწუხაროდ, თავისებური ინტერპრეტაციით გაუშვა და ისე აჩვენა, თითქოს მე პოლიციელს კი არ ვიცავ, პირიქით, მოქალაქეებს ვიცავ და ა.შ.

პოლიციელების პირველი დამცველი ნამდვილად მე, შინაგან საქმეთა მინისტრი ვარ და უამრავი თემაა, რაც გახმაურებული არ არის – გვერდში დავდგომივარ მათ, დავხმარებივარ და ძალიან ბევრი დარტყმა ჩემს თავზე ამიღია. ეს იციან თანამშრომლებმა, ხელმძღვანელმა პირებმა.

მიუღებელია, ძალიან ცუდია პოლიციელის შეურაცხყოფა, ხმამაღალი იქნება ეს თუ ხელით შეხებაზე აღარ ვსაუბრობ. მნიშვნელობა არ აქვს, პოლიტიკოსი იქნები თუ მოქალაქე. როგორ შეიძლება ეს მოეწონოს ვინმეს, მით უმეტეს, შინაგან საქმეთა მინისტრს? – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიგლა ბარამიძე: „ქართული ოცნება“ ცხოველური ინსტინქტებით მოქმედებს“

„მისმა შულერებმა ამერიკელებიც გადააგდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

ოპოზიციური ერთობის გეგმებით, გიგი უგულავას დაპატიმრების შემდეგ იქნება პროტესტი, ასევე ხალხთან შეხვედრები და პარტიებს შორის კონსულტაციები. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების აზრით კი, ოპოზიცია დესტაბილიზაციას აპირებს. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენმდივან გიგლა ბარამიძეს.

– საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ოპოზიციურ ერთობას დესტაბილიზაციის მცდელობაში გადანაშაულებენ. მათი აზრით, ოპოზიციას საარჩევნო საკითხებზე მოლაპარაკებები თავიდანვე არ ჰქონდა დაგეგმილი და საბოლოოდ, ისინი ჩაშალა კიდეც.

– ესენი ერთ ტყუილს, უსინდისობას და სისულელეს მეორეს უმატებენ. ჩვენ გვინდოდა მოლაპარაკებების ჩაშლა?! ჩაშლა კი არა, ისეთ ვარიანტებს ვთავაზობდით, რომლებზეც უარს ვერაფრით იტყოდნენ. მარტო მე 5 ტელევიზიასთან მაქვს ნათქვამი, რომ ძალიან საინტერესო წინადადებებით მივდივართ მოლაპარაკებებზე. ხელისუფლებამ რა გააკეთა? დააპატიმრა ერთ-ერთი მთავარი მომლაპარაკებელი გიგი უგულავა. ამით ბოლო მოუღო შეთანხმების შესაძლებლობას. მოლაპარაკებები და შეთანხმება თვითონ „ქართულ ოცნებას“ არ აწყობდა. ეს ხელისუფლება მოკლებულია ლოგიკას, წესიერებას და ცხოველური ინსტინქტებით მოქმედებს.

– ნაცმოძრაობის მიმართ ცუდად განწყობილი საზოგადოების წარმომადგენლები ნინო ბურჯანაძეს კიცხავენ იმის გამო, რომ იგი გიგი უგულავას ლიდერად მოიხსენიებს.

– რა უკვირთ? გიგი უგულავა ერთ-ერთი მთავარი მომლაპარაკებელი და აქტიური პოლიტიკოსია. ნინო ბურჯანაძე მას ასე მოიხსენიებს. ისე, ნაციონალების „გათეთრებას“ რომ ჩვენ გვაბრალებენ, სასაცილოა. ნაციონალური მოძრაობა, რომელთანაც ჩვენ დაპირისპირებული ვიყავით, „ქართულმა ოცნებამ“ გააცოცხლა.

ახლა სხვა მოცემულობა გვაქვს – მთელი ოპოზიცია გაერთიანდით სამართლიანი არჩევნებისა და სამართლიანი საარჩევნო სისტემის მიზნისთვის. გიგი უგულავას დაჭერაც დასაგმობი იყო და დავგმეთ. „ოცნება“ და მისი გარემოცვა მეძავის პრინციპით მოქმედებენ. ასეთებს მხილების ეშინიათ და წესიერებს ეძახიან მეძავებს. ჩვენ თვალს ვადევნებთ „ქართული ოცნების“ სრულ დეგრადაციას, როგორც ცნობიერს, ისე პოლიტიკურს. სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მანკიერი და დამნაშავე მართლმსაჯულება ჩაისვეს ჯიბეში და კიდევ სხვებზე ლაპარაკობენ.

„მოლაპარაკებები და შეთანხმება თვითონ „ქართულ ოცნებას“ აწყობდა“

– მოსამართლეების უვადო გამწესებაზე საუბრობთ?

– რასაკვირველია. ვინც გასვრილი იყო სასამართლო სისტემაში, ლამის ყველა დაიტოვეს, თან, უვადოდ. ამას სხვა უკანონობა და თავგასულობა დაუმატეს: უდიპლომო თადუმაძე გენპროკურორობიდან უზენაესში გადაიყვანეს, ხოლო ცუდი საქმეებისთვის გაგდებულ შოთაძეს მთავარ პროკურორად აბრუნებენ.

ჩვენს ოპოზიციურ ერთობას მორალური უპირატესობა გვაქვს, მეორე მხარეს კი არიან მილიარდერის ჯიბეზე გამოკერილი ყმები. ამ დღეებში მოხდა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ – „ქართულმა ოცნებამ“ თავისი თაღლითური ბუნება კიდევ ერთხელ გამოავლინა.

– კერძოდ?

– ადრე „ქართული ოცნება“ რომ გადამგდები იყო, ქვეყნის შიგნით ვლაპარაკობდით. პროპორციული არჩევნების დაპირების უკან წაღების შემდეგ ამათი შულერობა ბევრმა გაიგო. ამას კიდევ ერთი სიყალბე დაემატა – „ოცნების“ შულერებმა ამერიკელებიც გადააგდეს. აშშ-ში მოსალაპარაკებლად გაიგზავნა დელეგაცია, რომელიც იფიცებოდა, რომ მმართველი პარტია კონსტრუქციული იქნებოდა, ოპოზიციას დაელაპარაკებოდა და კონსენსუსს მიაღწევდა, ამათ კი დააპატიმრეს ერთ-ერთი მთავარი მომლაპარაკებელი.

ახლა ამათი შულერობა მსოფლიოში ბევრმა გაიგო. ამაზე გამოდიან ამერიკელი კონგრესმენები, სენატორები და ევროპელები. თავისი უტვინობით ესენი სამარეს თვითონ ითხრიან. სულხან-საბა ორბელიანის არაკში რომ მორიელია, იმას ჰგვანან. მორიელი კუს დაუმეგობრდება და მაინც კბენს. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ჯიშადა მაქვსო. ამათაც ჯიშად აქვთ მოტყუება და გადაგდება.

– ოპოზიციამ დიდი აქცია 4 აპრილს დაანონსეთ. მოქალაქეები სვამენ კითხვას – რატომ მაინცდამაინც ეს დღე?

– ყველაფერს მომზადება უნდა. „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ჩვენ ფულიც არ გვაქვს. აპრილამდეც არ ვჩერდებით. რეგიონებს მოვივლით. ვისაც ინფორმაცია არ აქვს, მივაწვდით. გავაგებინებთ, რატომ დგანან ერთად ამ ბრძოლაში ერთმანეთისგან განსხვავებული ნინო ბურჯანაძე და გიგა ბოკერია. გვექნება შეხვედრები საერთაშორისო ინსტიტუტებთან, საელჩოებთან. ერთმანეთშიც გვაქვს მოსალაპარაკებელი.

– მაგალითად, მაჟორიტარების კანდიდატებზე?

– ბუნებრივია. მაჟორიტარებზე ბევრი საუბაოა. გარდა ამისა, დაგეგმილია ლოკალური აქციები და ლოკალური პიკეტირება.

– ოპოზიციურ ერთობაში არ გამორიცხავენ სხვა დაჭერებს.

– ეს ხელისუფლება ისე უტვინოდ იქცევა, ყველაფერია მოსალოდნელი. შეიძლება აქტიური პოლიტიკოსები კი არა, პოლიტიკისგან დაშორებული უცნობი პირებიც კი დაიჭირონ და ისინი პოლიტპატიმრებად აქციონ.

– გიგი უგულავას დაჭერით აღშფოთებულია მეოთხე პრეზიდენტი. იგი მოვლენების ყურებას გვერდიდან არ აპირებს და გააქტიურდება.

– ყველას აქვს პოლიტიკაში გააქტიურების და დაბრუნების უფლება. გიორგი მარგველაშვილსაც აქვს ამის უფლება.

„ხელისუფლება ემზადება ხაზარაძის და გვარამიას დასაპატიმრებლად“

შალვა ხაჭაპურიძე: „ამდენ ოპოზიციურ პარტიას, ერთად აღებულს, ერთი ნიკა გვარამია ჯობს თავის გადაცემებით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური ოპონენტების დაკავებას კვლავაც აქტიურად აგრძელებს. გიგი უგულავას დაკავება არის შურისძიება ოპონენტებზე? რა თამაში წამოიწყო ივანიშვილმა?

– როგორც ჩანს, უგულავას გამოშვებისას ხელისუფლება შეცდა. ეგონათ, რომ უგულავა აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდებოდა, თუმცა უგულავას აქტიურობამ ეს შეხედულება შეცვალა და ხელისუფლებამ დაიწყო ფიქრი, როგორ გაენეიტრალებინა უგულავა.

პროცესები ძირითადად ივნისიდან გამწვავდა. პირველად იყო გავრილოვის ღამე, მერე ბიძინა ივანიშვილის დაპირება პროპორციულზე, შემდეგ მისი პოზიციის შეცვლა და გადაგდება როგორც პოლიტიკური სპექტრის, ისე მოსახლეობის. ამას ოპოზიციის მხრიდან სერიოზული გააქტიურება მოჰყვა. იმდენად გააქტიურება, რომ შესაძლოა, ეს პროცესი არჩევნებამდეც კი ვერ მისულიყო, ამიტომ ხელისუფლებამ დაიწყო ასეთი აქტიური ფიგურების განეიტრალება და დანარჩენი ოპოზიციური ლიდერებისთვის მაგალითის ჩვენება, რომ თუ გააგრძელებთ ამ მიმართულებით აქტიურობას, თქვენც იგივე მოგელით.

– ქვეყანაში არ არსებობს ოპოზიციური ლიდერი, რომელიც ან დაკავებული არ იყოს, ან საქმე არ ჰქონდეს სასამართლოში. ეს რამდენად ნორმალურია?

– რა თქმა უნდა, არ არის ნორმალური. მე აბსოლუტურად ვემხრობი ამერიკელი სენატორების და კონგრესმენების შეფასებებს. ჩვენ არ ვართ დემოკრატიული სახელმწიფო და არც არასდროს ყოფილვართ! იყო დემოკრატიის მცირე ჩანასახები ყველა ხელისუფლების პერიოდში, თუმცა ამან განვითარება ვერ ჰპოვა. ამის პირველი მაჩვენებელია არადემოკრატიული საარჩევნო სისტემა და მეორე, არადემოკრატიული, არათავისუფალი სასამართლო.

ამ ყველაფრის მთავარი შემადგენელი ნაწილი ეკონომიკაა. თუ ეკონომიკა არ გაქვს და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო არა ხარ, დემოკრატიაზე საუბარი არის არაფრის მომცემი. თუნდაც უგულავაც რომ არ დაეპატიმრებინათ, ეს სამი მაჩვენებელი არის იმის წინაპირობა, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ გაქვს!

– ახალ დაკავებებს თუ ელოდებით?

– რა თქმა უნდა, ახალი დაკავებები იქნება. რა თქმა უნდა, არაადეკვატური ნაბიჯები იქნება, მაგრამ აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი.

პირველი. ბიძინა ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილის არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ თუ

იქნება არჩევნების დროს ქაოსი და დიდი არეულობა, ეს მის წისქვილზე ასხამს წყალს. ის არის კრიზისმენეჯერი, ანუ ის მართავს კარგად, როდესაც ქვეყანაში არის კრიზისი. ამიტომ ასეთი კრიზისული ფონი მისთვის მომგებიანია და ამას არც მალავს ეს ადამიანი. მე ხელისუფლებაში პრობლემას ვეღარ ვხედავ.

– ეს რას ნიშნავს?

– რას და მათი ყველა პრობლემა სახეზეა, ხელისუფლება რაც გვყავს, ის გვყავს. თუ რამის გამკეთებელი იყო, აქამდე გააკეთებდა. შესაბამისად, დადგა ჯერი იმისთვის, რომ მოხდეს ცვლილება. ხელისუფლების დიაგნოზი ვიცით, ამ შემთხვევაში უფრო პრობლემური ოპოზიციის დიაგნოზია.

კვლევები ამბობს, რომ არც ის მომწონს და არც ის. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რა გეგმები აქვს და რას აპირებს ოპოზიცია.

– ოპოზიცია ცდილობს გაერთიანდეს, ბოლო დღეებია, საინტერესოდ გააქტიურდნენ გიორგი მარგველაშვილი და გიორგი კვირიკაშვილი, შესაძლოა ისინი ხაზარაძესთან ვიხილოთ?

– ერთს მივუმატოთ ნოლი, არის ერთი. მარგველაშვილი არის ნოლი, კვირიკაშვილი არის ნოლი. ეს ხალხი არ არის პოლიტიკური რესურსის მქონე. გარდა იმისა, რომ ერთი პრემიერად დანიშნა ბიძინა ივანიშვილმა, არ დაგავიწყდეთ, ივანიშვილმა თავის დროზე ქართუ ბანკიდანაც გააგდო. მარგველაშვილზე ხომ საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია. მარგველაშვილს თუ ჰგონია, რომ ივანიშვილს რომ არ ნდომოდა, ვინმე პრეზიდენტად აირჩევდა, მაშინ მისი ფსიქიკური მდგომარეობა ძალიან მძიმე ყოფილა.

ეს ყველაფერი არაფრის მომცემია. ოპოზიციის ბაქიბუქიც არაფრის მომცემია. ვერაფერსაც ვერ იზამენ. აქ ყველაზე საინტერესო საакაშვილის სვლაა.

– რას გულისხმობთ, მის ბოლოდროინდელ განცხადებას? და რა იყო ამაში საინტერესო?

– დიახ. სააკაშვილმა მიიღო ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ ოპოზიციონერების დიდ ნაწილს ყიდულობს, თან ძალიან იაფად.

– თქვენ გაქვთ ეს ინფორმაციები?

– რა თქმა უნდა, მეც მაქვს ეს ინფორმაციები. ამიტომ სააკაშვილმა გააკეთა ძალიან სწორი სვლა – მე ვიქნები ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ვხსნი იქ შტაბს და ოპოზიციას უთხრა, თქვენ თუ რამეს წარმოადგენთ, გამოჩნდებაო.

მოდით, ვაღიაროთ, ეს ამომრჩეველი არც მაჭუტაძისაა და არც ედპ-სი. ძირითადი ამომრჩეველი ნაცმოძრაობას მოჰყავს. მიშას ჯერ არ უთქვამს, რომ ნაცმოძრაობა ტოვებს ოპოზიციურ ერთობას, მიშამ დანარჩენებს უთხრა, რომ თუ თქვენ გააგრძელებთ ბიძინასთან ვაჭრობას, მე მაშინ ცალკე წავალო. სწორედ ამის მერე ხდება უგულავას დაპატიმრება, დააკვირდით მოვლენებს.

– ამ ყველაფერთან უგულავას დაპატიმრება რა კავშირშია, უგულავამ უარი თქვა ბიძინას ფულზე?

– როგორც ჩანს, უგულავამ უარი თქვა მიყიდვაზე. ამიტომ საჭირო გახდა ასეთი ტიპის ღონისძიება შეურიგებელი ოპოზიციისთვის. შესაბამისად, სააკაშვილის სვლა სწორი ყოფილა. სააკაშვილის ამ განცხადებიდან ორ-სამ დღეში დააპატიმრეს უგულავა.

– ანუ უგულავა სააკაშვილის მხარეს აღმოჩნდა?

– ასე აღმოჩნდა. როგორც კი უგულავა დაიჭირეს, მაშინვე ოპოზიციის დიდმა ნაწილმა დაიწყო საუბარი, რომ აქტიური მოქმედებაა საჭირო, რაიონებში გავიდეთო. საიდან დავიწყე და სად მოვედით, ანუ ოპოზიციაშია მთავარი პრობლემა! ჩვენ არ გვყავს რეალური ოპოზიცია. ისინი თანახმა არიან, პირველივე დაძახილზე მიეყიდონ ივანიშვილს.

– ბატონო შალვა, როგორც იურისტს, რა მოლოდინი გაქვთ, თუ დასჭირდათ, დააპატიმრებენ ხაზარაძეს ან სხვებს?

– ხაზარაძეს ამზადებენ დასაპატიმრებლად. ასევე ნიკა გვარამიას. პროცესების ასე ინტენსიურად ჩანიშვნა სხვა არაფერია. მიიყვანენ პროცესს დასასრულისკენ, მოსამართლე ამოწურავს მოწმეების დაკითხვას. დაიტოვებს ორ პროცესს, პროკურორის და ადვოკატის დასკვნით სიტყვას და ამის მერე თუ გადაწყვეტენ, რომ მოსაშორებელია და პრობლემებს ქმნის, მოიშორებენ და ციხეში გაუშვებენ, თუ ჩათვლის, რომ ისინი არაფრის გამფუჭებლები არ არიან, მაშინ არ დაიჭერს.

– ანუ სიტუაცია მიჰყავთ იქით, რომ ხაზარაძე და გვარამია გაანეიტრალონ?

– რა თქმა უნდა, მიჰყავთ. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ გვარამიას შემთხვევა უფრო რთულია, მასთან უფრო გაუჭირდება ხელისუფლებას, რადგან გვარამია იდეურია, თან ტელევიზიის ხელმძღვანელია. დიდი პოლიტიკური ბეგრაუნდი აქვს. ანუ ის უფრო მძიმე არტილერიაა.

მე მგონი, ამდენ ოპოზიციურ პარტიას, ერთად აღებულს, ერთი ნიკა გვარამია ჯობს თავის გადაცემებით. ანუ პოლიტიკურ კლიმატს ქმნის გვარამია და არა პოლიტიკური პარტიები. თუ გვარამიაა მარტო ოპოზიცია, მაშინ წავიდნენ ესენი სახლში და გადაწყვეტს მერე ქართველი ხალხი, გვარამია უნდა ხელისუფლებაში თუ ბიძინა ურჩევნია, რადგან ყველა ერთად აღებულზე ასჯერ მეტს აკეთებს გვარამია!

– რამდენად უმართავი გახდება პროცესები არჩევნებამდე?

– ყველაფერი ოპოზიციაზეა დამოკიდებული. გვესმის უკვე ოპოზიციისგან განცხადებები, რომ კი, კარგია სენატორების განცხადებები, მაგრამ, ხალხო, თქვენც გაინძერით, რატომ ხართ ინერტული.

ხალხი არ არის ინერტული. ის 54%, რომელსაც არც ერთი მოსწონს და არც მეორე, არ არის პატარა ციფრი. უმრავლესობაა, ხალხო! თუ მაგარი ხარ, წადი და იმ 54%-დან 30% მაინც წამოიყვანე. არ მოგყვება? ე.ი. არ ვარგიხარ.

ისე მიდის სიტუაცია, რომ მე არ გამოვრიცხავ პაშინიანის ვარიანტს, რომ ხალხიდან იშვას ლიდერი. დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში, ამ ეტაპზე არის ორი პოლიტიკური ფიგურა, ერთ მხარეს ბიძინა ივანიშვილი, მეორე მხარეს მიხეილ სააკაშვილი. ხოლო ხალხის 54%, ანუ უმრავლესობა ამბობს, რომ არც იქით და არც აქეთო. ამიტომ პოლიტიკა ასეთი რამაა, შესაძლოა, უცებ ვიღაც შემოვარდეს და ეს 54% სწორედ მან წაიღოს.

ისტორია იცნობს ასეთ მაგალითებს, პაშინიანამდეც და მის მერეც. სხვათა შორის, თუნდაც უკრაინაშია ზელენსკის მაგალითი.

გედევან ფოფხაძე: „ივანიშვილთან და სააკაშვილთან ერთად საქართველო წინ ვერ წავა“

„არც გუშინდელის დაბრუნება და არც დღევანდელის შენარჩუნება ხალხს კარგს არაფერს მოუტანს“

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ წარმომადგენელი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ბატონო გედევან, ხელისუფლება ოპოზიციას მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებისკენ მოუწოდებს. რამდენად ხედავთ თქვენ ამ რესურსს?

– ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ მოლაპარაკებას მე არ ვთვლი ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკებად. დღეს ამ ორი პოლიტიკური ძალის მიმართ საზოგადოება ერთნაირად არის ნეგატიურად განწყობილი. ჩვენ გვინდა მოხდეს რაიმე სახის შეთანხმება საარჩევნო სისტემაზე, რათა ძირითად და მთავარ საკითხზე გადავიდეთ.

– რა არის მთავარი საკითხი?

– არჩევნებს რომ მოვიგებთ, მერე რა იქნება. ქართველ ხალხთან ვაპირებთ გარიგების დადებას, რომ მომავალი ხელისუფლება აღარ იყოს არც ივანიშვილის, არც სააკაშვილის და არც ერთი ბელადის, არც ერთი პერსონალის სამსახურში. „ოცნებასთან“ და ნაციონალურ მოძრაობასთან ისედაც ყველაფერი გარკვეულია. ერთი იყო ხელისუფლებაში და ძალაუფლება ხალხის წინააღმდეგ გამოიყენა, მეორე არის ხელისუფლებაში და ამ ძალაუფლებას ხალხის წინააღმდეგ იყენებს.

ჩვენ ბიძინას სამსახურში ყოფნა რომ გვდომოდა, დავრჩებოდით ბიძინას სამსახურში და არ წამოვიდოდით. სააკაშვილთან რომ გვდომოდა, რაღაც კავშირებს იქაც გამოვნახავდით, მაგრამ ოპოზიციაში ვიყავით. თუ საზოგადოებას ექნება ჩვენთან კითხვები, მზად ვართ, ხალხს ვუპასუხოთ ამ კითხვებზე და არა – ივანიშვილს და სააკაშვილს. მე არც ერთთან არ ვარ ვალდებული. ვისთანაც ვარ ვალდებული, მასთან მივალ და პირადად დაველაპარაკები.

მე არ მინდა, სააკაშვილის და ივანიშვილის გარიგება ამ ქვეყნის მომავლად ჩავთვალო. ეს გარიგება არაფერ სიკეთეს არ მოგვიტანს. არც გუშინდელის დაბრუნება და არც დღევანდელის შენარჩუნება ხალხს არაფერ კარგს არ მოუტანს. ივანიშვილთან და სააკაშვილთან ერთად საქართველო წინ ვერ წავა.

– მეოთხე პრეზიდენტი მარგველაშვილი ამბობს, რომ კომფორტის ზონიდან გამოდის და პოლიტიკური აქტიურობისკენ მოუწოდებს გიორგი კვირიკაშვილს, ირაკლი ალასანიას. რას იტყვით მარგველაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე?

– მარგველაშვილი ჩემთვის გამოხატული პოლიტიკური ლიდერი არასდროს ყოფილა. ბიძინა ივანიშვილმა დაასახელა პრეზიდენტობის კანდიდატად. გუნდში განხილვა რომ ყოფილიყო, მეეჭვება, ვინმეს მხარი დაეჭირა. თუ სიმართლე გაინტერესებთ, მე ირაკლი ალასანიას კანდიდატურისკენ ვიხრებოდი.

– ირაკლი ალასანიაც განიხილებოდა კანდიდატად?

– არა, თავად უნდოდა და მეც ვთვლიდი, რომ ალასანიას მეტი შესაძლებლობები ჰქონდა, მისი პოლიტიკური, დიპლომატიური გამოცდილებიდან გამომდინარე. ჩემი აზრით, უფრო წონადი იყო, მაგრამ ივანიშვილმა მარგველაშვილი ალბათ უფრო იმ პრინციპით შეარჩია, უფრო ადვილად ვმართავო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა.

მათ შორის კონფლიქტი სასახლესთან დაკავშირებით მოხდა. გიორგი მარგველაშვილს მაშინ რომ ეთქვა, როგორც კანდიდატს, რომ იმ სასახლეში აპირებდა შესვლას, ჩვენ მხარს არ დავუჭერდით. ეს ძალიან პრინციპული საკითხი იყო, რადგან ეს სიმბოლურად იყო მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, მარგველაშვილი მაინც პრეზიდენტის ინსტიტუტით გაძლიერებული პოლიტიკოსი იყო.

– მარგველაშვილი თუ პოლიტიკაში დაბრუნდა, თქვენი გუნდი მასთან არ ითანამშრომლებს?

– ასე ვერ ვიტყვი. პოლიტიკური თანამშრომლობის სივრცეს არ გამოვრიცხავ.

– გიორგი კვირიკაშვილზე რას იტყვით?

– გიორგი კვირიკაშვილს პოლიტიკური წონა ნამდვილად აქვს.

– თუ დაბრუნებას გადაწყვეტს, როგორი იქნება თანამშრომლობა?

– ჩემთვის გიორგი კვირიკაშვილი ამ პროცესში ძალიან მომხიბლავია, მისი პიროვნული თვისებებით. თუმცა, მე მასთან მიმართებაში მოწოდებებით ვერ გამოვალ, ეს მისი გადასაწყვეტია. პოლიტიკური ლიდერები ამ პროცესში ძალიან გვჭირდება, მაგრამ მთავარი მაინც ქართველი ხალხია. გარიგება და შეთანხმება სწორედ ხალხთან უნდა მოხდეს.

– როგორ, სიტყვაზე უნდა გენდოთ?

– სიტყვაზე არა, ვინც არ უნდა აიღოს ინიციატივა, მან პირველ რიგში გარანტიები უნდა მისცეს საზოგადოებას, პოლიტიკურ სპექტრს, რომ გამარჯვების შემთხვევაში სისტემა შეიცვლება და ის ხალხის მსახური გახდება და არა პირიქით, როგორც დღეს არის – დღეს ის კერძო ინტერესების მსახურია.

თუ ამ პროცესში მარგველაშვილი მიიღებს მონაწილეობას ან კვირიკაშვილი, ამას ვინ აღუდგება წინ. ამ შემთხვევაში ყველა ჯარისკაცები ვართ, გენერლობაზე არავის უნდა ჰქონდეს წინასწარ პრეტენზია. მთავარი მოტივაცია ხალხის სამსახური უნდა იყოს და არა – პირიქით.

– და ამ პროცესში პოტენციური პარტნიორები ვინ წარმოგიდგენიათ?

– ყველა, ვისაც ეს გზავნილები ექნება. მამუკა ხაზარაძესთან, დავით უსუფაშვილთან, ალეკო ელისაშვილთან, შალვა ნათელაშვილთან – ყველასთან შეიძლება თეორიულად, მთავარია შევთანხმდეთ, გამარჯვების შემდეგი პროცესი რა უნდა იყოს.

ვინც უნდა იყოს, ეს პროცესი თავის თავზე არ უნდა მოირგოს. არ ვაპირებ თავის მოტყუებას, მეც უნდა მჯეროდეს ამ პროცესის. მე თამამად უნდა შევძლო ადამიანებს ვუთხრა, რომ გამოჩნდა ძალა, რომელიც თქვენს სამსახურში იქნება.

კორნელი კაკაჩია: „ქართულ პოლიტიკაში ახალი სისხლი, სახეები და იდეებია საჭირო“

იავო ნაცვლიშვილი

იმ ფონზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციას ახალი ფრონტი გაუხსნა და დაჭერების ახალი სერია დაიწყო, ოპოზიციამ აქცია დააანონსა, ოღონდ არა მყისიერად, არამედ 2 თვის შემდეგ.
რამდენად გამართლებულია ოპოზიციის ამგვარი სტრატეგია და რას უქადის „ოცნების“ პოლიტიკა საქართველოს მომავალსა და იმიჯს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს ევროპული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია საუბრობს:

– დღეს ქართულ პოლიტიკაში ასეთი რეალობა დადგა, რომ ფაქტობრივად დაჭერების ახალი სერია გაიხსნა უგულავას დაპატიმრებით. ამის თაობაზე დავინახეთ მძაფრი რეაქციები დასავლეთში. საით მიდის საქართველო იმიჯის თვალსაზრისით?

– თუ ამ პოლიტიკურ პროცესს მთლიანობაში შევხედავთ, ბუნებრივია, რომ ეს პროცესი ხელს არ უწყობს საქართველოს იმიჯის დადებითაც წარმოჩენას. რაც მთავარია, პირიქით, კიდევ უფრო ამყარებს საქართველოსადმი დამოკიდებულებას იმ სკეპტიკოსებში, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველო ჯერ არ არის ჩამოყალიბებული დემოკრატია და ის არ იმსახურებს საკუთარ ადგილს არც ნატოში და არც ევროკავშირში. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა ვერ ახერხებს ნორმალური პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას, სადაც პოლიტიკური პარტიები თანაბარ კონკურენციაში იქნებიან ერთმანეთთან და დროთა განმავლობაში სუფთა და სამართლიანი არჩევნებით ერთმანეთს შეცვლიან. ამას ვერ ვახერხებთ ქვეყნის შიგნით.

თუ ეს იმიჯი გამყარდება იმ სკეპტიკოსების თვალში, კიდევ უფრო გართულდება საქართველოს გაწევრიანება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, რაც, ბუნებრივია, სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსთან და ქვეყნის უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან დაკავშირებით.

– ანუ, ეს მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ კი არა, მთლიანად საქართველოს მომავლისთვის ქმნის საფრთხეს?

– რა თქმა უნდა, მთლიანად ქვეყნისთვის არის საფრთხე.

– თავად ოპოზიციის გეგმები რამდენად სწორია სტრატეგიული თვალსაზრისით? მხედველობაში მაქვს ის, რომ ამ ფონზე, რაც დაიწყო ივანიშვილმა, ოპოზიციამ აქცია მხოლოდ და მხოლოდ 4 აპრილს დააანონსა. არის მოლოდინი, რომ სხვა ლიდერებსაც დაიჭერენ. სტრატეგიულად რამდენად გამართლებული სვლაა?

– ბუნებრივია, ოპოზიცია იძულებულია, რაღაც რეაქცია ჰქონდეს ამ პროცესზე, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ თვითონ ოპოზიცია საკმაოდ ფრაგმენტირებულია და მისი მხარდაჭერა საზოგადოებაში მაღალი არ არის. ეს განაპირობებს იმას, რომ ხელისუფლება საკმაოდ გაბედულად დგამს ასეთ ნაბიჯებს. თუნდაც ის, რომ საარჩევნო წელს იჭერენ ოპოზიციურ ლიდერს, ესეც ამაზე მეტყველებს. ოპოზიცია მყარად რომ იდგეს ფეხზე, ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილება მისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ეს ახლაც არ არის ადვილი მოსანელებელი საზოგადოებისთვის, მაგრამ ხელისუფლება ხედავს, რომ ოპოზიციის დაქსაქსულობიდან და ოპოზიციაში მყოფი ადამიანების მიმართ ნდობა საკმაოდ დაბალია და ამიტომ დგამს ასეთ ხისტ ნაბიჯებს. ოპოზიციაში არიან ან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, ან ისინი, ვისაც გარკვეული სოციალური კაპიტალი არ აქვთ და, ბუნებრივია, რომ ამ სიტუაციაში ხელისუფლება ამას კარგად იყენებს თავის სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, ოპოზიციამ რაღაც ნაბიჯები უნდა გადადგას, მაგრამ ეს მომენტი საკმაოდ ხელს უშლის მას, რომ უფრო წარმატებული იყოს და მიაღწიოს რაღაც შედეგს, აჩვენოს ხელისუფლებას, რომ მის უკან დგას საზოგადოება და საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. როდესაც არ არის ასეთი ძლიერი ბმა საზოგადოებასა და ოპოზიციას შორის და ამას როდესაც ხედავს ხელისუფლება, შესაბამისად ის აკეთებს იმას, რასაც აკეთებს.

– ჩემს კითხვაში მხედველობაში ის მაქვს, რომ ოპოზიციას არ აქვს მყისიერი რეაქცია, ვინაიდან 4 აპრილამდე თითქმის 2 თვეა.

– ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეგ არის, რომ ისინი არ არიან დარწმუნებული, საზოგადოება გაჰყვება მას თუ არა. ზოგიერთი მათგანი იმდენად დისკრედიტირებულია, რომ საზოგადოებაში არ სარგებლობს სანდოობით. საზოგადოებას არ მოსწონს ხელისუფლება და ეს იციან ოპოზიციაშიც, მაგრამ რამდენად გამოვა საპროტესტო მუხტი, ამაში არ არიან დარწმუნებულნი.

– ამ მიზნით გადაწიეს აქცია ასე შორს?

– არ ვიცი, ზუსტად ნამდვილად არ ვიცი, რატომ გადაწიეს, მაგრამ არის რაღაც შიდა საკითხები, რასაც გარედან ვერ შევაფასებთ. მაგრამ ვიცით, როგორც ხდება ხოლმე, ხელისუფლება გადაუღებს დრონით და იტყვის, რომ 3 000 თუ 5 000 კაცი მოვიდა და ეს არის მთელი ოპოზიციის მხარდაჭერა. ამან შეიძლება კიდევ უფრო მეტად გამოიწვიოს ოპოზიციის დისკრედიტაცია. შესაბამისად, ალბათ ოპოზიცია ფიქრობს, რომ პასუხი უნდა იყოს სოლიდური. ასეთია ჩემი აზრი, თუმცა ალბათ მათ უფრო იციან მიზეზები, რატომაც დაგეგმეს აქცია ასე შორს.

– ახსენეთ ოპოზიციის დაქსაქსულობა. ბოლო პერიოდში ვნახეთ ერთიანი ოპოზიცია, რომელიც ერთ ფორმატში მართავს მოლაპარაკებებს, ამის მიუხედავად, ასეთი განცდა ჩნდება, რომ დაქსაქსულები არიან?

– პრობლემა იცით რაშია? თუ რამდენიმე პარტიას არ ჩავთვლით, მათ უკან არ დგას ამომრჩეველთა ინტერესი და ნება. ერთკაციანმა და ორკაციანმა პარტიამ რა უნდა გააკეთოს?! ჩვენ გვყავს ოპოზიცია, რომელიც არ ასახავს ამომრჩევლების ინტერესებს. ასეთივე პრობლემები აქვს ხელისუფლებასაც. ამიტომაც არის კვლევების მონაცემებში ის, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი გაურკვეველ ვითარებაშია. მათ არც ეს მთავრობა მოსწონთ, მაგრამ ოპოზიციაშიც ვერ პოულობს რაღაც ახალს.

ჩემი აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში საჭიროა ახალი სისხლი, ანუ ახალი ადამიანები უნდა მოვიდნენ ახალი იდეებით. 90-იანი წლების პოლიტიკოსები ახალს ვეღარაფერს ქმნიან და ძველი იდეებითა და ცოდნით საზოგადოებას თავს ვეღარ მოაწონებენ. ბუნებრივია, რომ პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ჩვენ ვართ პოლიტიკოსები, ეს ვართ რაც ვართ და გინდათ თუ არა, ჩვენ უნდა აგვირჩიოთო, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ გვჭირდება ახალი თაობის პოლიტიკოსები, რომლებიც უკვე არიან აქტიურები სხვადასხვა საზოგადოებრივ, სოციალურ თუ სტუდენტურ მოძრაობებში და იქიდან უნდა მოვიდეს პოლიტიკური კლასი, რომელმაც უნდა მოიტანოს ახალი მუხტი. ბუნებრივია, რომ ამას სჭირდება დრო და იქამდე პოლიტიკური ოპოზიცია ვერ მოიცდის და მან საკუთარი მოვალეობა უნდა შეასრულოს, მაგრამ ერთ-ერთი პრობლემა ეს არის.

იმისათვის, რომ საზოგადოების მიმართ ჰქონდეთ მიზიდულობა, მათ სჭირდებათ განახლება, მაგრამ სერიოზული პრობლემებია ოპოზიციურ სპექტრშიც. ბოლო მოვლენებმაც დაადასტურა, რომ პარტიებს სერიოზული პრობლემები აქვთ შიდა პარტიულ დემოკრატიასთან დაკავშირებით. ანუ, ხშირად პარტიები შექმნილია არა იდეოლოგიური ან რაღაც ნიშის გამო, არამედ ერთი ბელადი ჰყავს და ის მართავს წლების განმავლობაში და წლების განმავლობაში ამ პარტიის ლიდერია. ჩამოთვლას აზრი არ აქვს, იმიტომ, რომ უმრავლესობა ზუსტად ასეთია. ასეთ მდგომარეობაში რომელ ახალგაზრდას მოუნდება, შევიდეს პარტიაში, როცა წინასწარ იცის, რომ იმ პარტიაში არავითარი პერსპექტივა არ აქვს, რომ გახდეს ან ლიდერი, ან თავმჯდომარე. ამიტომაც არის, რომ ადამიანები სკეპტიკურად უყურებენ პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებას და ესეც ერთ-ერთი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში იმ თვალსაზრისით, რომ არ ხდება პოლიტიკური კლასის ჩანაცვლება ახალი ადამიანებით. ახალში მაინც და მაინც იმას არ ვგულისხმობ, რომ ასაკით ახალგაზრდა იყოს. მხედველობაში მაქვს ის, რომ უნდა ხდებოდეს ახალი ადამიანების მოსვლა პოლიტიკაში ახალი იდეებით.

– გიორგი მარგველაშვილმა თქვა, რომ ის ბრუნდება პოლიტიკაში და მოუწოდა კვირიკაშვილს და ალასანიას, რომ ისინიც დაბრუნდნენ. თქვა, რომ როგორც 2012 წელს იყო ქვეყანა გადასარჩენი, ასეა დღესაც. ეს მოიტანს რამე შედეგს?

– იცით რა? თუ საქართველოს უახლოეს ისტორიას გადავხედავთ ბოლო 28 წლის განმავლობაში, ეს არის ის, რომ ჩვენი ელექტორალური ციკლი ყოველთვის ასე იყო, რომ ყველა ერთიანდება ერთის წინააღმდეგ. ამ დროს, ბუნებრივია, წარმატებას აღწევ. ისევე, როგორც 2012 წელს ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ იყო და ერთობლივი ძალებით მოხდა რეჟიმის შეცვლა, ალბათ ახლაც ეს შანსია.

კიდევ ერთხელ ვამბობ, სხვა ვარიანტი არ არის. არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს არც პოლიტიკური კაპიტალი, არც მიზიდულობა და პოპულარობა საზოგადოებაში, რომ რომელიმე მათგანმა მოახერხოს ის, რომ მარტომ შექმნას მთავრობა. ბუნებრივია, ამ ვითარებაში ეს ვარიანტი საკმაოდ გასათვალისწინებელია და მე მგონი, ეს ვარიანტი ცუდი არ იქნება, თუ ეს განხორციელდება. იმიტომ, რომ აქ უნდა გავითვალისწინოთ ამ ადამიანების სხვადასხვა შეხედულებები. თეორიულად, პერსპექტივაში ცუდი არ ჩანს.

მიხეილ კალანდიამ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარი თქვა



დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდია სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს.

ეს განცხადება მიხეილ კალანდიამ გუშინ, 12 თებერვალს, სასამართლო პროცესზე გააკეთა, სადაც მას ჩვენება უნდა მიეცა.

როგორც კალანდიამ განმარტა, ის ბრალდებულის უფლებით სარგებლობს და უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე. კალანდიას განცხადებით, მას უკვე აქვს გამოცდილება, როცა გამოძიებას სრულყოფილი ჩვენება მისცა, თუმცა ეს მის წინააღმდეგ გამოიყენეს.

კალანდიას თქმით, უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულ გიორგი ჯანაშიას მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმი არ გადასცა. ბრალდებულის თქმითვე, მისთვის უცნობია, თუ რა მტკიცებულებებს ემყარება ჯანაშიას მიმართ გაფორმებული საპროცესო შეთანხმება.

– უზენაეს სასამართლოს სხდომის ოქმი და აუდიოჩანაწერები არ გადმოუცია. ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ვიმსჯელოთ, ჩამოვაყალიბოთ ჩვენება და გავცეთ როგორც ბრალდების, ასევე სასამართლოს კითხვებზე პასუხები, ვინაიდან ჩვენთვის უცნობია, თუ რა მტკიცებულებებს ემყარება ჯანაშიას მიმართ გაფორმებული საპროცესო შეთანხმება.

მე მზად ვიყავი, სასამართლოსთვის სრულყოფილი ჩვენება მიმეცა, თუ რა მოხდა 2017 წლის 1 დეკემბერს, მაგრამ ვინაიდან გიორგი ჯანაშიაზე, სავარაუდოდ, განხორციელებულია გენერალური პროკურატურის მხრიდან ზეწოლა, შეიძლება პროკურატურამ მისთვის სასურველი საპროცესო შეთანხმება მიიღო გიორგი ჯანაშიასგან.

ჩემგან მიცემული ჩვენება არ იქნება სათანადოდ შეფასებული, რადგან ის წინააღმდეგობაში მოვა 28 იანვრის საპროცესო შეთანხმებასთან.

ჩემი ჩვენება ისე იქნება გამოყენებული, როგორც პოლიტიკურ ძალებს სურთ.

მით უმეტეს, პრაქტიკაში მაქვს გამოცდილება, როცა სრულად ვითანამშრომლე გამოძიებასთან, მივეცი გულწრფელი ჩვენება, პროკურატურამ ის თავისი ინტერესის სასარგებლოდ ჩემ წინააღმდეგ გამოიყენა.

ვსარგებლობ ბრალდებულის უფლებით და უარს ვაცხადებ ჩვენების მიცემაზე, – განაცხადა კალანდიამ.

გუშინვე კომენტარი გააკეთა მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ.

ის აცხადებს, რომ კალანდიას მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმა თავის არიდებას არ ნიშნავს.

– ეს არ არის თავის არიდება. ჩვენ ვმუშაობთ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე. უზენაეს სასამართლოს მიხეილ კალანდიას დაცვის უფლებები აქვს დარღვეული, – განაცხადა თოდუამ.

მან სასამართლო პროცესზე მიხეილ კალანდიას ბიძის, დიმიტრი კაკუბავასა და პარლამენტის რამდენიმე წევრის დაკითხვის შუამდგომლობაც დააყენა, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

რაც შეეხება მიხეილ კალანდიას ბრალეულობას, როგორც თოდუა აცხადებს, საქმეში მის წინააღმდეგ არც ერთი მტკიცებულება არ არსებობს.

– განაჩენთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. ბრალდების დასკვნითი სიტყვა უნდა მოვისმინოთ და ამის შემდეგ შემიძლია გითხრათ, რა ხარისხის მტკიცებულებები არის ბრალდების მიერ ამ საქმეზე დანახული. მე მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩატარებული სასამართლო გამოძიების შედეგად მიხეილ კალანდიას წინააღმდეგ ბრალი თავიდან ბოლომდე შეთითხნილია და ის პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს. არც ერთი მტკიცებულება მის მიმართ შერაცხულ ბრალზე საქმეში არ მოიპოვება, – განაცხადა ადვოკატმა თოდუამ.

ახალშობილის 13.000 დოლარად გაყიდვის ფაქტზე მისი დედა და 6 პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არასრულწლოვანით ვაჭრობის-ტრეფიკინგის ფაქტზე, 7 პირი დააკავეს.

დაკავებულთა შორისაა თავად ბავშვის დედა და სამედიცინო დაწესებულების ორი ექიმი. დაკავებულთაგან ერთ-ერთი გასულ წლებში ამავე სახის დანაშაულზეა ნასამართლევი.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, პირადი მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, განზრახეს გაეყიდათ არასრულწლოვანი, ხოლო მიღებული თანხა გაენაწილებინათ ურთიერთშორის.

ბრალდებულებმა, აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვით, მოიძიეს ბავშვის შეძენის მსურველი პირი, რომელსაც ბავშვის შეძენის სანაცვლოდ, მოსთხოვეს 13.000 აშშ დოლარი. დანაშაულებრივი ქმედების დაფარვის მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, ბავშვის დედა, ფეხმძიმობის პერიოდში, შესაბამისი სამედიცინო პროცედურების გავლის და საავადმყოფოში მშობიარობის დროს, დარეგისტრირდა სხვა პირის გვარ-სახელით.

საგამოძიებოს სამსახურმა, მიმდინარე წლის 6 თებერვალს, განხორციელებული ახალშობილის გაყიდვის შემდეგ, დანაშაულებრივ სქემაში ჩართული შვიდიევე პირი დააკავა, ხოლო ახალშობილი დროებით მეთვალყურეობაში გადასცა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე 2 პრიმა მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 14-დან 17 წლამდე ვადით.

ნიკოლოზ ფურცხვანიძესთან კავშირის ბრალდებით 6 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა „ქურდული სამყაროს“ წევრობის და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით 6 პირი დააკავეს.

ამის შესახებ გუშინ, 12 თებერვალს, გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ განაცხადა.

გენერალურ პროკურატურასთან ერთად, თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ქობულეთში ერთდროულად ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან: 1964 წელს დაბადებული მ.მ., 1981 წელს დაბადებული ს.ბ., 1977 წელს დაბადებული ზ.ბ., 1970 წელს დაბადებული დ.მ., 1977 წელს დაბადებული ნ.შ. და 1990 წელს დაბადებული ბ.ჩ.

როგორც ჭელიძემ აღნიშნა, დაკავებულებს ბრალი „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვაში ედებათ.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– სამართალდამცველებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ექვსივე ბრალდებული საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა, მათ შორის არსებული ფინანსური დავის გადაწყვეტის მიზნით, „ქურდული სამყაროს“ წევრებსა და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდს“, ნიკოლოზ ფურცხვანიძეს – მეტსახელად „ბურდღუნიჩას“ მიმართეს.



„ქურდული სამყაროს“ წევრებს შორის, რომლებიც მოდავე მხარეებს წარმოადგენდნენ, სატელეფონო ქურდული გარჩევა შედგა, რომლის შედეგადაც, ერთ-ერთ მხარეს 8.700 ევროს 1 თვის ვადაში გადახდა დაეკისრა.

„ქურდული სამყაროს“ წევრების მხრიდან სისტემატური ზეწოლის შედეგად, ნ.შ.-ს და დ.მ.-ს, დაკისრებული თანხა ბრალდებულების ანგარიშებზე ჩაარიცხვინეს.

ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ.

გამოძიება „ქურდული სამყაროს“ წევრობის და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლით მიმდინარეობს, – განაცხადა ჭელიძემ.

სასამართლომ მარიანა ჩოლოიანი პატიმრობაში დატოვა

15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ მარიანა ჩოლოიანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ძალაში დარჩა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა კალიჩენკომ გუშინ, 12 თებერვალს, გამოაცხადა.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე ბრალდებულ მარიანა ჩოლოიანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას, დაცვის მხარე კი აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000-ლარიანი გირაოს გამოყენებას ითხოვდა.

ბრალდებული სასამართლო პროცესს არ დასწრებია. როგორც მისმა ადვოკატებმა განაცხადეს, ჩოლოიანი შეუძლოდ არის და ის მედიკოსების მეთვალყურეობას საჭიროებს.

15 წლის მოზარდი ლუკა სირაძე, რომელმაც პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა, 17 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი დააკავეს. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 19 დეკემბერს შეუფარდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ლუკა სირაძის საქმეზე, პოლიციის კიდევ რამდენიმე თანამშრომლის მხრიდან ადმინისტრაციული გადაცდომა გამოკვეთა.

უწყებამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა პოლიციის მუშაკებისთვის შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ფონიჭალაში ნარკოტიკების შენახვა-გასაღებისთვის ო.ც. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობის, ძარცვისა და ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ო.ც. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს.

მას ბრალად ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღება ედება.

დანაშაული 5-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელეს ბრალდებულისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვები და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ ო. ც.-ს მიერ უკანონოდ გაყიდული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ასევე, ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

ბათუმის აეროპორტში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ბათუმის აეროპორტი“, ეჭვის საფუძველზე, ისრაელის მოქალაქის კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები ჯამში 134 აბი გამოავლინეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველომ გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლების 1-ელი ნაწილებით დაიწყო.

მიხეილ ქარელი ირაკლი ოქრუაშვილს ოფისს ედავება

„ვისაუბრებ მხოლოდ პირდაპირ ეთერში...“

გუშინ, 12 თებერვალს, მიშა ქარელი საქალაქო სასამართლოში გამოჩნდა. ის ირაკლი ოქრუაშვილს ათონელის ქუჩაზე მდებარე „გამარჯვებული საქართველოს“ ოფისის ფართს ედავება. როგორც ცნობილია, საბანკო განცხადებებში მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის გვარი ფიქსირდება.

როგორც ამბობენ, ქარელს ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიცემული ჩვენებების სანაცვლოდ „ქართული ოცნება“ გორის მაჟორიტარობას ჰპირდება.

ქარელი 15 წლის წინანდელ საქმეზეც ხელისუფლების „ოქროს მოწმეა“, ის ამბობს, რომ ერთ-ერთ სუფრაზე ოქრუაშვილმა ისაუბრა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ქარელს არ ახსოვს, სად გაიმართა სუფრა.

მიხეილ ქარელმა გუშინ ჟურნალისტების კითხვებს არ უპასუხა.

– ვისაუბრებ მხოლოდ პირდაპირ ეთერში, ახლა მომეცით გადაადგილების უფლება, თავისუფლებას მიზღუდავთ, – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ნიუ ჰემფშირში დემოკრატების პრაიმერიზი ბერნი სანდერსმა მოიგო

აშშ-ის ნიუ ჰემფშირის შტატში დემოკრატების საპრეზიდენტო პრაიმერიზში სენატორმა ბერნი სანდერსმა გაიმარჯვა. შტატში დემოკრატიული პარტიის ამომრჩეველთა ხმების 91%-ის დათვლის შედეგებით, სანდერსმა ხმების 26% მიიღო. მას მცირედით ჩამორჩება ქალაქ საუზ ბენდის ყოფილი მერი პიტ ბუტეჯეჯი, რომელსაც ხმების 25% აქვს. მესამეზეა სენატორი ემი კლობუჩარი 20%-ით, ხოლო მეოთხე ადგილზე – სენატორი ელიზაბეთ უორენი 9%-იანი მხარდაჭერით.

ჯო ბაიდენი კი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 8% მიიღო, მეხუთე ადგილზეა.

– აქ, ეს გამარჯვება დონალდ ტრამპის დასასრულის დასაწყისია, – განაცხადა სანდერსმა.

ამომრჩევლებს არჩევანის გაკეთება 33 კანდიდატს შორის უწევდათ. ნიუ-ჰემფშირის პრაიმერიზის შედეგები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია წინასაარჩევნო მარათონის მიმდინარეობისას. დემოკრატების მომდევნო შიდაპარტიული არჩევნები ნევადაში 22 თებერვალს, სამხრეთ კაროლინაში კი 29 თებერვალს იგეგმება.

რაც შეეხება რესპუბლიკელებს, მთავარმა კანდიდატმა დონალდ ტრამპმა ნიუ ჰემპშირის შტატში ადვილად მოუგო მასაჩუსეტსის შტატის ყოფილ გუბერნატორს უილიამ უელდის.

პრაიმერიზის დროს ორი მთავარი პარტიის, რესპუბლიკელების და დემოკრატების მხარდამჭერები საკუთარ საპრეზიდენტო კანდიდატს ირჩევენ.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები 2020 წლის ნოემბერშია დანიშნული.

ტრამპი ესპანეთის მეფეს შეხვდება

21 აპრილს ესპანეთის მეფე ფილიპე თავის მეუღლესთან ერთად აშშ-ს ეწვევა. თეთრ სახლში მათ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უმასპინძლებს.

ტრამპმა განაცხადა, რომ ესპანეთი აშშ-ის მოკავშირე და პარტნიორია. ესპანეთის მეფის ვიზიტის მიზანი ამ პარტნიორობის გაღრმავებაა.

უზბეკეთში რუსი ჯაშუშები დააპატიმრეს

რუსული სპეცსამსახურები ისეთ ქვეყნებშიც გააქტიურდნენ, სადაც მოსკოვის გავლენა ძლიერია. ამის ნათელი მაგალითია უზბეკეთი, სადაც რუსული სპეცსამსახურების საქმიანობამ იქაური ხელისუფლება შეაშფოთა.

ტაშკენტში დაიწყო დაკავებული რუსი ჯაშუშების დახურული სასამართლო პროცესი. დაკავებულთა შორის არიან ტაშკენტის რეგიონალური კვლევებისა და სტრატეგიული ანალიზის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი სეიფულინი, აგრეთვე თავდაცვის სამინისტროს რიგი მაღალჩინოსანი.

ყველა მათგანი მხილებულია, როგორც რუსეთის აგენტი.

ფეისბუქმა რუსეთის დაზვერვასთან დაკავშირებული ყალბი ანგარიშები შეაჩერა

ფეისბუქმა რუსეთის სამხედრო დაზვერვის ექაუნთები შეაჩერა, რომლებიც უკრაინასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ყალბი ნარატივების გავრცელებას ისახავდა მიზნად.

– მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები, ამ ქსელის მიღმა ცდილობდნენ საკუთარი იდენტობისა და კოორდინაციის დამალვას, ჩვენმა გამოძიებამ დაადგინა, რომ მათ კავშირი ჰქონდათ რუსეთის სამხედრო სადაზვერვო სამსახურებთან, – ნათქვამია კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ფეისბუქის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის ხელმძღვანელი, ნათანიელ გლეიჩერი აცხადებს, რომ რუსული ოპერაცია ასზე მეტ ანგარიშს იყენებდა ფეისბუქსა და ინსტაგრამზე, რათა შეექნათ ყალბი პერსონები, რომლებიც ძირითადად თავს ჟურნალისტებად ასაღებდნენ.

– ისინი ცდილობდნენ, სიტუაცია აემღვრიათ და პრორუსულ და ანტიდასავლურ განწყობას ნერგავდნენ, – აცხადებს გლეიჩერი.

აღნიშნულზე რუსეთის თავდაცვის სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ირაკლი სამუშიამ და კოკა ხუბუტიამ ზუგდიდის თეატრი დატოვეს

ზუგდიდის თეატრის მსახიობებმა ირაკლი სამუშიამ და კოკა ხუბუტიამ თეატრი დატოვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ზუგდიდის თეატრის ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა ბადრი წერედიანმა გაავრცელა:

– ზუგდიდის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად ყოფნის პერიოდში ვალდებულად ვთვლიდი თავს, ადგილობრივ მთავრობასთან მქონოდა მაქსიმალურად კონსტრუქციული ურთიერთობა თეატრის შენობის სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე. არსებულ რეალობაში წარმოუდგენლად მიმაჩნდა ქვეყნის მმართველი ძალისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გარეშე ამ პრობლემის სათანადო დონეზე გადაწყვეტა. აუცილებლობას წარმოადგენდა შექმნილიყო პოლიტიკური ნება თეატრის სრული რეაბილიტაციის და ეს ასეც მოხდა.

ფაქტია, რომ დღეს თეატრი შენდება, წავედი თეატრიდან, რადგან გულწრფელად მივიჩნიე, ჩემთვისაც და თეატრის მომავლისთვისაც ასე სჯობდა, თეატრში მომხდარი მწვავე დაპირისპირების შემდეგ, რომელიც, აქვე გეტყვით, ნამდვილად თეატრის გარედან იყო ინსპირირებული და სრულად მხარდაჭერილი. საჭიროდ ჩავთვალე, რომ ახალი სისხლი და ენერგია სჭირდებოდა თეატრს, წავედი.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო გეგა ქურციკიძეს, რომ თეატრისათვის რთულად გარდამავალ პერიოდში, ვალდებულება აიღო, მის შემოქმედებით სტაბილურობაზე ზრუნვა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. ფაქტია, რომ მიუხედავად თეატრში მიმდინარე რთული და ემოციური პროცესებისა, გეგას თეატრში ყოფნის პერიოდში შემოქმედებით პროცესს რეალური საფრთხე არ შეჰქმნია. სხვათა შორის, ფაქტია ასევე, რომ ეს ის გეგაა, ვინც პირველი „დურუჯის შეგრძნება“ მოუტანა ზუგდიდის თეატრს, მადლობა მას ამისათვის!

ახლა კი მთავარ თემას დავუბრუნდები, როგორც ინტერნეტში ნანახი სტატიიდან გავიგე, ორი მსახიობი კოკა ხუბუტია და ირაკლი სამუშია თეატრიდან წავიდა. ეს ორი მსახიობი თითქმის სრულად არის წარმოდგენილები თეატრის მიმდინარე რეპერტუარში და ეს ფაქტი თავისთავად სცემს უამრავ შეკითხვას პასუხს.

ძალიან მძიმეა ჩემთვის მიმდინარე პროცესები, ადამიანურად მძიმეა, მერწმუნეთ! ჩემი სუსტი მხარე აღმოჩნდა საკადრო პოლიტიკა, ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ბოდიშს გიხდით თეატრში შექმნილი რთული ვითარებისათვის. სწორედ ამ პასუხისმგებლობის გამო წავედი, მაგრამ მხოლოდ მას მერე, რაც მავანმა საკუთარი ხელით გაიტანა უნამუსოდ შეთითხნილი პასკვილები.

მიუხედავად ჩემში დაგროვილი ბევრი თბილი მოგონებისა და ემოციურად მძიმე გადაწყვეტილებისა, დავამთავრე ბოლო ორი პროექტი, გასტროლი ჰოლანდიაში, სპექტაკლი „უღელტეხილი“ და წავედი თეატრიდან, წავედი ჩემი ნებით და იმ იმედით, რომ თეატრში მოვიდოდა ახალი, ნეიტრალური ძალა და მიმდინარე პროცესები ჯანსაღ დინებას დაუბრუნდებოდა. სამწუხაროა. ძალიან ვწუხვარ, ბიჭებო. მინდა მჯეროდეს, რომ ყველა ახალ გამოწვევას დაძლევთ და საუკეთესო წინ გელოდებათ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დავირუსებულ ხომალდზე მგზავრები სტრესს ღვინით უმკლავდებოდნენ

საკრუიზო ხომალდის მგზავრებმა, რომელზეც კორონავირუსით დაინფიცირებული ტურისტებიც აღმოჩნდნენ, შველა ღვინოში იპოვეს. ამის თაობაზე ინფორმაცია ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ავსტრალიელმა ტურისტმა დეივ ბინსკიმ განათავსა.

მისი თქმით, ხომალდმა Diamond Princess-მა ღუზა იაპონიის სანაპიროსთან 5 თებერვალს ჩაუშვა. მეორე დღეს კი მან და მისმა მეუღლემ უჩვეულო ზარი მიიღეს ღვინის კლუბისგან, რომელშიც ისინი არიან გაწევრიანებულები. ორგანიზაცია ჭაკედ ჭინე ჩლუბ-მა მათ ბოთლებით ღვინის მიწოდება პირდაპირ ხომალდზე დრონის მეშვეობით შესთავაზა, რათა მისი დახმარებით მათ მომხდარის უფრო ადვილად გადატანა შეძლებოდათ.

ამის შემდეგ ცოლ-ქმარმა ფეისბუქში ხომალდზე საკუთარი თავგადასავლების შესახებ დაიწყო ინფორმაციების განთავსება. ასევე ისინი ყვებოდნენ, თუ როგორ ეხმარებოდათ მათ ღვინო სტრესის მოხსნაში.

– ახლახან პირველი ყლუპი გადავკარი. ღმერთო, შენ დაიფარე დრონები! – დაწერა ბინსკიმ ტვიტერში.

ხომალდმა Diamond Princess-მა იაპონიის სანაპიროსთან ღუზა მას შემდეგ ჩაუშვა, როდესაც მის გემბანზე გამოვლინდნენ კორონავირუსით დაინფიცირებული ადამიანები. ინფექციის გამავრცელებელი 80 წლის ჰონკონგელი მგზავრი აღმოჩნდა, რომელიც ნაპირზე 25 იანვარს ჩავიდა. ამჟამად ხომალდზე 3,7 ათასი მგზავრი იმყოფება 50-ზე მეტი ქვეყნიდან. ყველა მათგანი საკუთარ კიუტებში 14-დღიან კარანტინში დარჩებიან.

პენსიონერი მეტისმეტად ხმამაღლა მუსიკის მოსმენისთვის ციხეში აღმოჩნდა



პენსიონერმა ინგლისის ქალაქ ლივერპულიდან კლასიკური მუსიკის მეტისმეტად ხმამაღლა მოსმენის გამო ციხეში ამოჰყო თავი.

82 წლის იან ჯორჯ ტრეინერი მრავალი წლის განმავლობაში რადიო კლასიკ ფმ-ს ბოლომდე აწეულ ხმაზე უსმენდა. ხმაური მის მეზობელ თომას მაიკლ ტომპსონს აწუხებდა და ბოლოს მან ამის გამო ტრაინერს პოლიციაში უჩივლა.

სასამართლოზე პენსიონერმა განაცხადა, რომ გაციების საწინააღმდეგო წამლების გამო მას ყურსაცმებით მუსიკის მოსმენის დროს ყურები უღიზიანდება და ამის გამო გადაწყვიტა, რომ კლასიკური მუსიკისთვის ხმის გამაძლიერებლის გამოყენებით მოესმინა.

– მე მუსიკას ისეთ ხმაზე ვუსმენ, რომელიც თავად მსიამოვნებს, – ხაზგასმით განაცხადა პენსიონერმა.

სასამართლომ ტრაინერს ექვსი თვით პატიმრობა და ჯარიმის სახით 722 ფუნტი სტერლინგის გადახდა მიუსაჯა. მას მუსიკის 65 დეციბელზე ხმამაღლა ჩართვა აუკრძალეს.

მამაკაცმა მამის ავტოფარეხში შუა საუკუნეების ხმალი იპოვა



შოტლანდიის მკვიდრმა აუქციონზე გაყიდა შუა საუკუნეების დროინდელი ხმალი, რომელიც მამის ავტოფარეხში იპოვა და გამდიდრდა.

ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველი შოტლანდიელი მამის გარდაცვალების შემდეგ მის კუთვნილ ავტოფარეხს ალაგებდა და იქ 600 წლის დაჟანგებული ხმალს მიაგნო, რომელსაც შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ შოტლანდიის მთიანეთის დაქირავებული მებრძოლები იყენებდნენ.

ხმალი გასაყიდად იორკშირის საგრაფოს ქალაქ სკიპტონში გამართულ აუქციონზე იქნა გამოტანილი. მისი თავდაპირველი ფასი 200 ფუნტ სტერლინგს შეადგენდა, თუმცა ლოტი საბოლოოდ 30 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა და ის კანადელმა კოლექციონერმა შეიძინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ოთარ კაკაბაძე: „საქართველო ევროპის ჩემპიონატზე თამაშს იმსახურებს“

საქართველოს ნაკრებს მარტში მნიშვნელოვანი მატჩები ელის. ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპთან ასე ახლოს არ ყოფილა. ახლა მთავარია ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილი გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით შეხვდეს უმთავრეს მატჩებს.

ერთ-ერთი პრობლემატური პოზიცია მარჯვენა მცველია, სადაც კონკურენცია თითქმის არ არის. ერთადერთი კანდიდატი ოთარ კაკაბაძეა, რომელმაც ორთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ განაახლა ვარჯიში. კაკაბაძემ ბოლოს ხორვატიასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა, რომლის 39-ე წუთზეც ტრავმის მიზეზით შეცვალეს.

– მოიშუშე თუ არა სრულიად ტრავმა და როდის შეძლებ მოედანზე დაბრუნებას?

– ბედნიერი ვარ ვარჯიშის განახლებით. სულ ცოტა ხნის წინ, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვივარჯიშე. ზუსტად ვერ გეტყვით მოვახერხებ თუ არა კვირას გასამართ შეხვედრაში თამაშს, თუმცა შემდეგ მატჩებში სათამაშოდ უკვე სრულფასოვნად მზად ვიქნები.

– შვეიცარიაში თითქმის 2 წელიწადი: როგორ შეაფასებ განვლილ პერიოდს და არსებულ მდგომარეობას?

– ყველა ის პირობა იდეალურ დონეზეა, რომლის გამოც აქ გადმოსვლა გადავწყვიტე. ეს ლიგა მშვენიერი ტრამპლინია გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატში მოსახვედრად. უბრალოდ, სამწუხაროა, რომ ამ პერიოდიდან საერთო ჯამში თითქმის 6 თვე ტრავმის მიზეზით გამიცდა, თუმცა ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ყველაფერი წინაა.

– პირველ ეტაპზე ადაპტაცია არ გაგიჭირდებოდა, გუნდში თანამემამულე ვაკო გვილია დაგხვდა.

– მე და ვაკოს ერთად 6 თვე მოგვიწია ყოფნა. ამ დროში ადაპტაცია მარტივად გავიარე – გვილია ისე დამხვდა, არაფერი გამჭირვებია და წინაღობა არ შემქმნია. მის გარდა გუნდში ბევრი მეგობრული ფეხბურთელია და, შესაბამისად, გასაოცრად კარგი ატმოსფეროც.

– საქართველოდან წასვლის შემდეგ, 3 სხვადასხვა ლიგაში ითამაშე. რა განსხვავებაა ესპანურ, დანიურ და შვეიცარიულ ფეხბურთს შორის?

– დანიის და შვეიცარიის ჩემპიონატებში უმეტესად მსგავსი მოთხოვნები აქვთ და იქ მოთამაშე ფეხბურთელებიც ერთნაირ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. ახლოსაა სათამაშო სტილიც. რაც შეეხება ესპანეთს, იქ განსხვავებული გარემოა და დროის უდიდესი ნაწილი ტაქტიკურ და თეორიულ სწავლებას ეთმობა. მთლიანობაში, ვფიქრობ, რომ შვეიცარიაში თამაში დანიაზე უკეთესია, ესპანეთს კი იმ კრიტერიუმით ვამჯობინებ, რომ აქ რანგით ქვეყნის უმაღლეს დივიზიონში ვთამაშობ, რაც ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

– ზამთარში კლუბის შეცვლაზე ხომ არ გიფიქრია?

– სამწუხაროდ, ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე ველოდი, ამიტომაც კონცენტრირებული მთლიანად გამოჯანმრთელებაზე ვიყავი. შესაბამისად, ტრანსფერზე ყურადღება ნამდვილად არ გამიმახვილებია.

– ახალი წელი და ახალი მწვრთნელი, როგორია მასთან მუშაობის პროცესი?

– ახალი წელი მართლაც კარგად დავიწყეთ. პირადად მე უფრო მეტად ინდივიდუალურად მუშაობა მიწევდა, თუმცა მწვრთნელთან რა შეხებაც მქონდა, აღმოვაჩინე, რომ საინტერესო სპეციალისტია. მისი სათამაშო ფილოსოფია უფრო მეტად ბურთის დაჭერას და მოკლე პასებით გადაადგილებას გულისხმობს. ფეხბურთელის კარიერის განმავლობაშიც საკმაოდ მაღალ დონეზე უთამაშია.

– ზედიზედ 3 მოგება და მიახლოება ევროზონასთან, გუნდმა საკუთარი ძალების ირწმუნა, როგორია მიზანი სეზონის დარჩენილ პერიოდში?

– ჩვენი მიზანი ევროზონაში მოხვედრაა. თუ თამაშს ისე გავაგრძელებთ, როგორც ბოლო პერიოდში, მიზნის მიღწევის რეალური შანსი გვექნება. თანაც, მატჩების ნახევარი ჯერ კიდევ წინაა.

– თბილისის დინამოდან წასვლის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატის ფორმატი შეიცვალა, რას ფიქრობ ეროვნული ლიგის დონეზე და მოლოდინი გაქვს ზაფხულში ქართული გუნდებისგან?

– საქართველოს ჩემპიონატს თვალს ვადევნებ და განსაკუთრებით თბილისის დინამოს ვგულშემატკივრობ. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე ქართულ გუნდს სულ მცირე ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვიხილავ. ჩემპიონატი ნელ ტემპში, თუმცა მთლიანობაში წინ მიიწევს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ინტერნეტში ეროვნული ლიგის ყველა მატჩის ყურება შესაძლებელია.

– ახლოვდება მარტი და ერთა ლიგის დასკვნითი ეტაპი. როგორია განწყობა და მოლოდინი?

– როგორც გულშემატკივარი, ისე მთლიანად საფეხბურთო სამყარო და სრულად საქართველო მარტს ელოდება. ყველა ფეხბურთელისთვის ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. საშინაო კედლებში ვთამაშობთ, რაც უპირატესობაა და ყველაფერი ჩვენს ხელშია... საქართველო ევროპის ჩემპიონატზე თამაშს იმსახურებს!

– ინდივიდუალური კარიერა და სამომავლო ცვლილებები.

– შვეიცარიაში დიდხანს გაჩერებას არ ვაპირებ – მიზნები გაცილებით დიდია, დანარჩენს დრო გვაჩვენებს...

ოლიმპიადის საგზურისთვის წყალბურთელთა მეტოქეები გაირკვა

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების, წყალბურთის სალიცენზიო ტურნირის კენჭისყრა ჩატარდა, სადაც 12 გუნდი 2 ქვეჯგუფში გადანაწილდა.

ისტორიაში პირველად, საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

საქართველოს ნაკრები ა ჯგუფში მოხვდა, სადაც კანადასთან, ბრაზილიასთან, მონტენეგროსა და საბერძნეთთან მოუწევს დაპირისპირება. კიდევ ერთი ნაკრები ჯგუფში აზიის ზონის გამარჯვებული იქნება.

ა ჯგუფი: საქართველო, აზია 1, კანადა, ბრაზილია, მონტენეგრო, საბერძნეთი;

ბ ჯგუფი: ხორვატია, ჰოლანდია, აზია 2, რუსეთი, გერმანია, არგენტინა.

2020 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირი 22-29 მარტს როტერდამში გაიმართება. ჯგუფებიდან გასული 4-4 გუნდი ერთმანეთს მეოთხედფინალში დაუპირისპირდება, რასაც თავისთავად ნახევარფინალები, მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი მოჰყვება. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას კი პირველი სამეული მოიპოვებს.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ახლახან ბუდაპეშტში გამართული ევროპის ჩემპიონატი რომ მეათე ადგილზე დაასრულა, ძველი ამბავია. რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილებმა სწორედ კონტინენტის პირველობაზე გაიარეს 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირზე თამაშის უფლება, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა.

იაპონია, ავსტრალია, უნგრეთი, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, იტალია, სერბეთი, აშშ და ერთიც უცნობი გუნდი აზიიდან. ეს იმ ნაკრებთა ჩამონათვალია, რომლებსაც ტოკიო 2020-ის საგზური ჯიბეში უდევთ, მათ კი კიდევ 3 გუნდი უნდა დაემატოს, საიდანაც ერთ-ერთი, თეორიულად, სწორედ საქართველოა.

არაბულის ვერცხლი, ნურწუმიას ბრინჯაო



იტალიის დედაქალაქ რომში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ სტილით ჭიდაობაში საქართველოს დელეგაციამ 2 მედალი მოიპოვა.

130 კგ წონით კატეგორიაში ლევან არაბული ფინალში რუმინელ ალინ ალექსუს ციურარიუს დაუპირისპირდა და პირველი პერიოდი 1:0 მოუგო კიდეც, თუმცა, სამწუხაროდ, მეორე პერიოდში მეტოქეს ვერ გაუმკლავდა და საბოლოოდ 1:6 დამარცხდა. შედეგად, ვერცხლის მედალს დასჯერდა.

აქვე გეტყვით, რომ ნახევარფინალში არაბულმა ფინელი არვი მარტინ სავოლაინენი აშკარა უპირატესობით დაამარცხა. იქამდე კი, ქართველმა მოჭიდავემ რომში თავდაპირველად იტალიელი ელ მაჰდი როკარო 9:0 გაანადგურა, ხოლო შემდეგ ამავე ანგარიშით გერმანელ იელო კრამერს აჯობა.

საქართველოს დელეგაციას ევროპის ჩემპიონატზე მედალი ნუგზარ წურწუმიამაც (55 კგ) მოუტანა, რომელიც ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ნუგზარმა მედლისთვის შეხვედრაში რუმინელი ფლორინ ტიტა 9:0 დაამარცხა და კვარცხლბეკზე დადგომის უფლება მოიპოვა.

წურწუმიამ რომში მანამდე ავსტრიის სახელით მოასპარეზე სარგის გეევორგიზიანი 8:0 დაამარცხა, ხოლო მეოთხედფინალში იგივე ანგარიშით მოლდოველ არტიუმ დელანუს სძლია, ნახევარფინალში კი, რუს ვიტალი კაბალოევთან 2:5 დამარცხდა.

დღეს კი, ბრინჯაოს მედლისთვის ამირან შავაძე (60 კგ) იბრძოლებს, ხოლო ოქროს მედლის მოპოვების შანსი 72 კგ წონით კატეგორიაში იური ლომაძეს ექნება.

მოამზადა მისეიდ ჟორჟოლიანმა

პოჩეტინო და მანჩესტერი ერთმანეთს დაუკავშირეს

ტოტენჰემიდან დათხოვნილი მოურისიო პოჩეტინო მანჩესტერის წარმომადგენლებთან შენიშნეს. არგენტინელი სპეციალისტი ჩემპიონშიფის მატჩზე (ბრენტფორდი-ლიდსი) სწორედ მანჩესტერელებთან ერთად მივიდა.

ადრეც ითქვა, რომ პოჩეტინო მანჩესტერის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან და იმავდროულად კლუბის თავმჯდომარის ედ ვუდვორდის ასისტენტ ნილ ეშტონთან ურთიერთობდა.

ითქვა ისიც, რომ პოჩეტინო მატჩს ლიდსის თანამემამულე მწვრთნელის, მარსელო ბიელსას საქომაგოდ დაესწროო, მაგრამ მანჩესტერელთა გარემოცვამ მაინც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

ინგლისელი ჟურნალისტები უმალვე დაფაცურდნენ და გამოარკვიეს, რომ მანჩესტერის წარმომადგენლებსა და პოჩეტინოს შორის მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უკვე გამართულა, მაგრამ რა შედეგით დასრულდა, კაცმა არ იცის... ასე ამბობენ, ეტყობა, ერთმანეთს კარგად დაშორდნენ, თორემ ბრენტფორდში ერთად აღარ გამოჩნდებოდნენო.

თავად პოჩეტინო აცხადებს, რომ პრემიერლიგაში მუშაობის სურვილი ისევ აქვს.

მაურისიო პოჩეტინო:

– გულწრფელად გეტყვით, პრემიერლიგაში სიამოვნებით ვიმუშავებდი. ვიცი, რომ ეს რთული ამოცანაა – როგორც ჩანს, ლოდინი მომიწევს, თუმცა ვნახოთ, მომავალში რა მოხდება. აღდგენის ეტაპი თითქმის დავასრულე და ახალი გამოწვევისთვის ძალებს ვიკრებ.

მართალია, საკუთარ თავზე უნდა იზრუნო, თუმცა ცვლილებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყო, რადგან ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ზუსტად ვიცი, რომ სრულ მზადყოფნაში ვარ – დარწმუნებული ვარ, შემდეგი შემოთავაზება წარმოუდგენლად საინტერესო და მიმზიდველი იქნება.

შედეგები

11 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბარნსლი-ბირმინგემი	0:1
ბლეკბერნი-ჰალი	3:0
ბრენტფორდი-ლიდსი	1:1
ნოტინგემი-ჩარლტონი	0:1
სუონსი-ქპრ	0:0
უიგანი-მიდსლბრო	2:2

იტალია. სერია ბ

სპეცია-კრემონეზე	3:2

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ემენი-ტვენტე	2:0
სპარტა-დენ ჰააგი	4:2

პორტუგალია. თასი

ფამალიკაო-ბენფიკა	1:1

შოტლანდია. ჰიმიერლიგა

ჰამილტონი-აბერდინი	1:3

ბელგია. ა დივიზიონი

შარლერუა-მეხელენი	2:1

განცხადება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ფიზიკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“-ს წევრთა საერთო კრება ჩატარდება 2020 წლის 05 მარტს, 13 საათზე. ქ.თბილისში, ბათუმის ქ.№29, III სადარბაზო, ბინა №20.

დღის წესრიგი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ფიზიკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“-ს (ს/კ 202056354) გამგეობის შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელება.
2. სხვადასხვა.

გენერალური დირექტორი ზ. ვარაზაშვილი

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 2. საწვავად, სასუქად გამოყენებული მკვრივი მასა, რომელიც წარმოქმნილია ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად; 3. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 5. ხიდის თაღების საყრდენი ბურჯი; 6. ფულის ერთეული სომხეთში; 7. მღვდლის ცოლი; 11. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 14. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 16. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 17. დაუდეღარი ყურძნის წვენი; 19. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 20. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 1. დარბაზის ფეხბურთი; 4. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 8. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 9. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 10. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 12. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 14. ლიონ ფოიხტვანგერის რომანი; 15. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. კომპოზიტორის ნომრით აღნიშნული ნაწარმოები; 18. კუთხე საქართველოში; 21. გურულების ძველებური მოკლე ჩოხა; 22. სითხის, აირის წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 23. ინდმეწარმე სოფლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რემარკა; 2. პოტომაკი; 3. პირანია; 5. კიშინოვი; 7. გერგეტი; 9. პლაკატი; 13. სანტოსი; 15. აიაზმა; 16. მიქლიო; 18. უფიცა.

თარაზულად: 4. რედიკული; 6. პრობაცია; 8. მარკშეიდერი; 10. რეგალია; 11. აბიო; 12. უტზონი; 14. იარდი; 17. გაუდა; 19. ვარდი; 20. ალგოლოგი; 21. იაგო; 22. ბარბაროსი; 23. მარტენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. თუნუქი; 2. ვისლა; 3. ძოწი; 5. ჯაგერი; 6. საბი; 7. ფორტუნა; 11. სლავია; 13. ამარეტო; 14. ყანწი; 15. ვეჯვუდი; 16. პალანგა; 17. მიკადო; 19. ატამი; 20. ლუზა.

: 1. თევზაძე; 4. გურჯი; 8. წნორი; 9. გემა; 10. უოლესი; 12. ოტიატრი; 14. ყავა; 15. ვალტორნა; 16. პანდა; 18. ნივეა; 21. კანოე; 22. გურზუფი; 23. მადიარი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8686

ევრო — 3.1317

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7237

100 რუსული რუბლი — 4.4947

ამინდის პროგნოზი 13 თებერვლისთვის

11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ბასილაშვილი როტერდამს დაემშვიდობა

როტერდამში მიმდინარე 500-იან ტურნირზე ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი მეთექვსმეტედფინალურ ეტაპზე 22 წლის ანდრეი რუბლიოვს დაუპირისპირდა, რომელიც მსოფლიოს მე-15 ჩოგანია და ტურნირზე მე-7 ნომრადაა განთესილი.

რუსმა ჩოგბურთელმა ქართველს 2 სეტში 6:3, 6:2 მოუგო. შეხვედრამ 56 წუთი გასტანა.

გასულ ზაფხულში ბასილაშვილმა ევროპის ღია პირველობა მოიგო და ჰამბურგის ტურნირის ფინალში რუბლიოვს სძლია. ამ გამარჯვებით რუსმა სპორტსმენმა რევანში აიღო. საერთო ჯამში, ბასილაშვილისა და რუბლიოვის დაპირისპირება 4-ჯერ შედგა, 2 შეხვედრა ქართველმა მოიგო, 2 კი – რუსმა.

ამჟამად პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგში ბასილაშვილი 27-ე ადგილზეა. მის ანგარიშზე 1.400 ქულაა, მაგრამ როტერდამულ ტურნირზე მარცხი უკან დახევს. საქმე ის არის, რომ ქართველმა ჩოგბურთელმა ჰოლანდიურ შეჯიბრში მონაწილეობა შარშანაც მიიღო და ქულები ჰქონდა დასაცავი. გასულ წელს ნიკოლოზმა პირველ ეტაპზე სამხრეთკორეელ ჰეიონ ჩუნგს მოუგო, მერვედფინალში კი უნგრელ მარტინ ფუჩოვიჩს ვერ გაუმკლავდა.

კასილიასი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს

ესპანური გამოცემების ცნობით, იკერ კასილიასმა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში მონაწილეობა საბოლოოდ გადაწყვიტა.

გავლენიანი მადრიდული გამოცემის, მარკას მთავარ გვერდზე სწორედ კასილიასი მოხვდა, შემდეგი წარწერით – იკერი პრეზიდენტობისთვის.

ლეგენდარული მეკარე უახლოეს პერიოდში ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს, რომლითაც საფეხბურთო კარიერის საბოლოოდ დასრულების შესახებ გამოაცხადებს და საკუთარ თავს პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგენს.

იკერი ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ყოფილ თანაგუნდელს პირადად შეხვდა და საარჩევნო კამპანიაში დახმარება სთხოვა.

როგორც გაჟღერდა, იკერმა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ ესპანეთის სპორტის ეროვნულ საბჭოს უკვე შეატყობინა.

მარკას მიერ ჩატარებულ გულშემატკივართა გამოკითხვაში, კასილიასის საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენას მხარი ფანების 94%-მა დაუჭირა.

საპრეზიდენტო არჩევნებში 38 წლის ვარსკვლავის ერთადერთი კონკურენტი ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი ლუის რუბიალესია.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

13 თებერვლისთვის

ვერძი – რომანტიკულ განწყობას სხვებსაც გადასდებთ. ნებისმიერი შეხვედრა სასიამოვნო იქნება და გაგახალისებთ. ** კურო** – ბევრი საქმე გაქვთ, თუმცა ეს ხელს ვერ შეგიშლით, რათა გასართობადაც მოიცალოთ. საკუთარ თავზე იზრუნეთ. **ტყუპები** – პლანეტები გწყალობენ. სიყვარული გეწვევათ. ყოველმხრივ ძალიან გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ. **ლომი** – აღმაფრენას გრძნობთ. პირად ცხოვრებაში ძალზე სასიკეთო ცვლილებები მოხდება. საპირისპირო სქესთან ურთიერთობა წარმატებულია. **ქალწული** – მომავალი თამამად დაგეგმეთ, ოღონდ ენერგია რაციონალურად გაანაწილეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **სასწორი** – დღეს მიღებული გადაწყვეტილება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღისთვის ემოციური აღმავლობაა დამახასიათებელი. კრიტიკულ სიტუაციას თავს მარტივად დააღწევთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერ ხასიათზე ხართ. ყველაფერში გიმართლებთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **თხის რქა** – ძველ მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. მომავალს ეჭვით უყურებთ. დაწყებული საქმის დასამთავრებლად გარს თანამოაზრეები შემოიკრიბეთ. **თევზები** – დაბრკოლებების გადალახვა არ გაგიძნელდებათ. საჭიროების შემთხვევაში მეგობრები სიამოვნებით დაგეხმარებიან.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი ქმარი სათევზაოდ წავიდა და ანკესი კი სახლში დატოვა...

– მერე, შენ რას ფიქრობ?

– რას და მგონი მეორე ანკესიც აქვს.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, დღეს კეთილი საქმე გავაკეთე...

– რა საქმე?

– ამ დილით ჩემს პიტბულს ვასეირნებდი, დავინახე, რომ მამაკაცი ავტობუსის გაჩერებისკენ გარბოდა და ჩემს ძაღლს საბელი მოვხსენი...

– მერე?

– მამაკაცმა ავტობუსს მიასწრო.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩვენი მედიცინის ვერაფერი გავიგე...

– რაშია საქმე?

– რა და ცოტა ფული გაქვს და არ გიმკურნალებენ და გამოგიშვებენ, ბევრი ფული გაქვს და არც განგკურნავენ და არც გიშვებენ.

●●●

თვალის ექიმი მამაკაცს მიმართავს:

– ქვედა ხაზი წაიკითხეთ.

– არ შემიძლია!

– ახლომხედველობა გაქვთ...

– მთელი ცხოვრება გაუნათლებელი ვიყავი და ახლა ახლომხედველიც გამოვდექი.

●●●

კლდის პირას მდგომი ქალი მამაკაცს ეკითხება:

– ძვირფასო, აქედან ზღვაში რომ გადავვარდე, გადამარჩენ?

– რომ გითხრა „ჰო“, გადავარდები?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გვარდიოლა: „რეალის დამარცხება შეგვიძლია“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ სიტის შეუძლია რეალის დამარცხება და ისინი მადრიდელებს არაფერს დაუთმობენ.

გვარდიოლას აზრით, მაყურებელი ორ ძალიან საინტერესო შეხვედრას იხილავს:

– რეალის ძალა კარგად გვესმის და ვიცით, რომ წინ რთული მატჩები გველის, მაგრამ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და რეალს არაფერს დავუთმობთ. გამარჯვების უნდა გვჯეროდეს და ასეც არის.

რეალის და სიტის პირველი დაპირისპირება 26 თებერვალს მადრიდში გაიმართება, ხოლო განმეორებითი – 17 მარტს.

ლუის სუარესი შესაძლოა აპრილში დაბრუნდეს

ბარსელონას ურუგვაელი ფორვარდი ლუის სუარესი შესაძლოა უფრო ადრე დაბრუნდეს მოედანზე, ვიდრე ამას თავიდან ფიქრობდნენ. სუარესის სარეაბილიტაციო კურსი ძალიან კარგად მიმდინარეობს და თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, შესაძლოა ის აპრილის შუა რიცხვებში დაბრუნდეს, რაც ბარსელონასთვის სასიხარულო ამბავი იქნება.

სუარესის ტრავმის შემდეგ ბარსელონას შეტევაში აშკარა პრობლემები შეექმნა, რადგან კატალონიელებს გამტანი ფორვარდი აღარ ჰყავთ.

კოუტინიო: „ლივერპულის წარმატება ძალიან მიხარია“

მიუნხენის ბაიერნის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფელიპე კოუტინიომ თავის ყოფილ გუნდზე, ლივერპულზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი წარმატება ძალიან უხარია.

კოუტინიოს აზრით, ლივერპული მომავალში კიდევ უფრო ძლიერი გახდება და მისი დამარცხება ყველა გუნდს გაუჭირდება:

– როდესაც ლივერპულში ვთამაშობდი, მაშინ უკვე გუნდი პროგრესირებდა, მაგრამ ახლა ისინი სულ სხვა დონეზე არიან და ეს ძალიან მიხარია. ლივერპულში დაბრუნებაზე არ ვფიქრობ, უბრალოდ, ეს გუნდი ჩემთვის ყოველთვის ძვირფასი იქნება.

ლივერპული ტიმო ვერნერის აგენტს დაუკავშირდა

ლივერპული ლაიპციგის ფორვარდის ტიმო ვერნერის შეძენით სერიოზულად არის დაინტერესებული და ამ გუნდის წარმომადგენლები ვერნერის აგენტს დაუკავშირდნენ. ჯერჯერობით მოლაპარაკებები არ დასრულებულა, რადგან ლაიპციგს ვერნერის გაშვება არ სურს და მას 60 მილიონად აფასებს, ხოლო ლივერპულს ეს თანხა არ აწყობს.

ტიმო ვერნერის ყიდვა იურგენ კლოპს სურს, რომელსაც უნდა, რომ შეტევაში უფრო მრავალფეროვანი არჩევანი ჰქონდეს.

პაოლო მალდინის მილანის მწვრთნელად შევჩენკო სურს

მილანი ახალ მწვრთნელს ეძებს, რომელიც გუნდს სათავეში ზაფხულში ჩაუდგება. მილანი სტეფანო პიოლის მუშაობით კმაყოფილი არ არის და მის მაგივრად რამდენიმე კანდიდატი განიხილება.

მილანის ტექნიკურ დირექტორს პაოლო მალდინის ამ პოზიციაზე ანდრეი შევჩენკო სურს, რომელიც მილანის ლეგენდაა. პრობლემა ისაა, რომ შევჩენკო ამჟამად უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელია და ამ პოსტის დატოვებას არ აპირებს.

ფეხბურთელობის დროს შევჩენკომ მილანში 6 სეზონი გაატარა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„რანინა“ მესამე სეზონს იწყებს

მუსიკალური გადაცემა „რანინა“ მესამე სეზონს იწყებს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი სულ მალე მაყურებელს იმ საუკეთესო ათეულს გააცნობს, რომლებიც საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარსადგენად იბრძოლებენ.

პირველმა და მეორე სეზონმა პროექტის შემქმნელები დაარწმუნა, რომ „რანინა“ განსაკუთრებულია და მას ანალოგი არ აქვს.

კონკურსანტები დუეტში იმღერებენ ცნობილ მომღერლებთან ერთად, აკომპანიმენტს გაუკეთებენ ცნობილი მუსიკოსები კონკურსების ტურებისთვის და რჩეული პედაგოგები მოამზადებენ.

მუსიკალური შოუ მარტიდან დაიწყება და უკვე ცნობილია, რომ პირველი ტური ცნობილ მომღერალთან ერთად შესრულებული კონკურსანტების დუეტების ტური იქნება.

„რანინას“ გამარჯვებული საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს.

მუსიკალური შოუს პირველი სეზონი თამარ ედილაშვილმა მოიგო, მეორე სეზონის გამარჯვებული კი გიორგი როსტიაშვილი გახდა.

გიული ჩოხელი 85 წლის გახდა

პირველი ქართველ ჯაზ-მომღერალი ქალი გიული ჩოხელი 85 წლის გახდა.

მან მთელი თავისი ცხოვრება ჯაზს მიუძღვნა, თუმცა სიმღერის პარალელურად, ხელოვნების სხვა დარგმაც გაიტანა. იუბილარი მომღერალი სხვადასხვა ნივთებისგან ულამაზეს ნამუშევრებს ქმნის.

გიული ჩოხელს არაერთი ჯილდო და პრემია აქვს მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა ახლაც არაჩვეულებრივად შეუძლია, სცენას დიდი ხანია დაემშვიდობა:

– სცენიდან ჩამოვედი და ჩავეშვი ცხოვრების უფსკრულში. დიდი ხანია სცენაზე აღარ მიმღერია, რადგან ჩემს სულს არ ემღერება. არც გარემო მაქვს იმისთვის, რომ ჩემი მუსიკა დავაბრუნო სცენაზე. არ მყავს ჯაზ-ბენდი, რომლებიც შეიცნობდნენ ჩემს სულს, გულს, ფიქრებს. ჩემი მეგობრები, რომლებთან ერთადაც ვმღეროდი, ახლა ამერიკაში არიან. ისინი რომ აქ ჩამოვიდნენ და იმღერონ, ამისთვის თანხაა საჭირო, რომელიც მე არ მაქვს. ამიტომაც არ ვმღერი, მაგრამ თუ ოდესმე ამის შესაძლებლობა მომეცემა, რატომაც არა! ვიმღერებ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ლითონის ზედაპირის დაშლა ქიმიური პროცესების ზეგავლენით; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 3. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 5. სახელმწიფო ევროპაში; 7. ერთი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელიც გარშემორტყმულია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიით; 9. ცხენების შემსწავლელი დისციპლინა; 13. იტალიური ვერმუტი; 15. აეროპორტი ვარშავაში; 16. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 18. ზღვისპირა კურორტი გურიაში.

თარაზულად: 4. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 6. ჯაშუშის ძველებური სახელწოდება; 8. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე; 10. ძველი სპარსული სალიტერატურო ენა; 11. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 12. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 14. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 17. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 19. ბრიტანეთის ნაწილი; 20. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 21. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა; 22. სამხატვრო გამოფენის საზეიმო გახსნა; 23. ქართული ლიტერატურული ჟურნალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა